ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ანა გიორგაძე

საქართველოს საგარეო ვაჭრობის თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები

სამაგისტრო პროგრამა ბიზნეს ადმინისტრირება

ნაშრომი შესრულებულია ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ასოცირებული პროფესორი ხათუნა ბერიშვილი

თბილისი 2020

ანოტაცია

დღეისათვის საქართველო აქტიურად არის ჩართული მსოფლიო ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესში, რაც განპირობებულია ვაჭრობის ლიბერალიზაციით და ინვესტორთათვის სასურველი საბაზრო სისტემის შექმნით. აქედან გამომდინარე მეტად აუცილებელი გახდა ყველა იმ საგარეო სავაჭრო პროცესების შესწავლა, რაც შემდგომში ქვეყანას დაეხმარება სწორი სავაჭრო პოლიტიკის წარმოებაში. აქტიურად მიმდინარეობს საერთაშორისო ვაჭრობის დინამიკის, განვითარების ტენდენციებისა და არსებული მდგომარეობის კვლევა და ანალიზი.

გლობალიზაციის განვითარებასთან ერთად იზრდება საერთაშორისო ვაჭრობის მასშტაბები და სხვადასხვა რეგულაციების მოხსნით მარტივდება ვაჭრობის პროცესი. მსგავსი მიდგომა იწვევს ქვეყნების მეტად დამოკიდებულებას საგარეო ვაჭრობაზე და შესაბამისად ეკონომიკური წინსვლის პირობას წარმოადგენს. საგარეო ვაჭრობა წარმოადგენს სახელმწიფოებს შორის საქონლის გაცვლას ექსპორტისა და იმპორტის საშუალებით. იგი მეტად სპეციფიკური სფეროა და მისი პერსპექტივები დამოკიდებულია, როგორც ქვეყნის შიდა ეკონომიკაზე, ასევე, მსოფლიოს სავაჭრო ეკონომიკურ კურსზე.

საქართველო წლების განმავლობაში იდგა მრავალი ეკონომიკური გამოწვევის წინაშე. მათ შორის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა უარყოფითი სავაჭრო სალდო, რაც გამოწვეული იყო იმპორტის სიჭარბითა და ექსპორტის სიმცირით. ამასთან დღეს, როგორც მთელი მსოფლიო, ასევე, საქართველო აღმოჩნა ახალი გამოწვევის წინაშე, რომელიც განაპირობა ახალმა Covid-19 ტიპის ვირუსმა. მსოფლიო მასშტაბით აღნიშნულმა პანდემიამ გამოიწვია მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზიანი და უარყოფითად აისახა მოსახლეობის ეკონომიკურ კეთილდღეობაზე. გამონაკლისი არც საქართველო აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, ეტაპობრივად პანდემია დამორჩილებად ფორმას იღებს და მსოფლიო ფოკუსირდება კრიზისის დაძლევის გზების ძიებაზე. საქართველოში აქტიურად დაიწყო ანტიკრიზისული ზომების განხორციელება, რაც საშუალებას გვაძლევს არსებული პრობლემის აღმოფხვრისა და განვითარების კურსის გაგრძელებისა.

Annotation

Foreign trade relations of Georgia

Today, Georgia is actively involved in the process of world economic integration, which is due to the liberalization of trade and the creation of a desirable market system for investors. Therefore, it has become necessary to study all the foreign trade processes, which will further help the country to pursue the right trade policy. Research and analysis of the dynamics of international trade, development trends and the current situation are actively underway.

With the development of globalization, the scale of international trade is increasing and the removal of various regulations simplifies the trade process. Such an approach causes countries to become increasingly dependent on foreign trade and, consequently, to promote economic progress. Foreign trade is the exchange of goods between states through exports and imports. It is a very specific field and its prospects depend on the country's domestic economy as well as the world's trade and economic course.

Georgia has faced many economic challenges over the years. A significant problem among them was the negative trade balance, which was caused by the abundance of imports and the scarcity of exports. At the same time, both the world and Georgia have faced a new challenge caused by the new Covid-19 virus. The pandemic has caused significant economic damage worldwide and has had a negative impact on the economic well-being of the population. Georgia was not an exception. Nevertheless, the pandemic is gradually taking shape and the world is focusing on finding ways to overcome the crisis. Anti-crisis measures have been actively launched in Georgia, which allows us to eliminate the current problem and continue the course of development.

სარჩევი

შესავალი.....5

1.საერთაშორისო ვაჭრობის თეორიული საფუძვლები.....8

1.1.საგარეო ვაჭრობის კვლევის თეორიული საფუძვლების მიმოხილვა.....8

1.2.საგარეო ვაჭრობის თეორიების ევოლუცია და ძირითადი მახასიათებლები..... 11

1.3. საერთაშორისო ვაჭრობის სახელმწიფო რეგულირების ფორმები..... 23

2. საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები სტრატეგიულ ქვეყნებთან 36

2.1. საქართველო - ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობა 36

2.2. საქართველო-ჩინეთის სავაჭრო ურთიერთობები 40

2.3. საქართველოს სავაჭრო პოლიტიკა დსთ-ს ქვეყნებთან.....43

2.4.საქართველოში მოქმედი სავაჭრო რეჟიმები და საერთაშორისო ხელშეკრულებები46

3. საქართველოს საგარეო ვაჭრობის მდგომარეობა, პრობლემები და განვითარების პერსპექტივები.....50

3.1. საქართველოს საგარეო ვაჭრობის დინამიკის ანალიზი (2015-2020წწ) 50

3.2. საქართველოს საგარეო ვაჭრობის შემაფერხებელი ფაქტორები და მისი დაძლევის გზები..... 55

3.3. საქართველოს საგარეო სავაჭრო პოტენციალის შეფასება მიმდინარე კოვიდ-19 პანდემიის პირობებში (მოსახლეობის კვლევის საფუძველზე)..... 59

დასკვნა 66

ბიბლიოგრაფია..... 68

შესავალი

თემის აქტუალობა. საგარეო ვაჭრობის მეცნიერული შესწავლა გლობალიზაციის პირობებში უფრო მნიშვნელოვანი გახდა. გლობალიზაცია შეუქცევადი პროცესია, რომელსაც თან ახლავს მსოფლიო ეკონომიკის განვითარება, ეროვნული ეკონომიკების ურთიერთდამოკიდებულება და მსოფლიო სასაქონლო და საფინანსო ბაზრების ფორმირება.

საგარეო ვაჭრობისადმი ინტერესის გაზრდა, გარდა ქვეყნების ეკონომიკის ინტეგრაციისა განპირობებულია ასევე, სახელმწიფოებს შორის გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულებებით. აღნიშნული ხელშეკრულებები ითვალისწინებს სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების დამყარებასა და ეროვნული ეკონომიკების მიერ ადგილობრივი წარმოების საქონლის ექსპორტის სტიმულირებას.

დღეისათვის მსოფლიოს ყველა ქვეყანა აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო ვაჭრობაში, რადგან ეროვნული ეკონომიკები მხოლოდ საკუთარი წარმოებით ვერ უზრუნველყოფენ ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნის სრულიად დაკმაყოფილებას. სახელმწიფოს ყოველთვის სჭირდება როგორც საქონლის, ასევე, მომსახურებისა და სხვადასხვა რესურსების იმპორტი. იმპორტზე გაწეული ხარჯები ძირითადად ექსპორტიდან მიღებული შემოსავლით იფარება.

საქართველო აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო ინტეგრაციულ პროცესებში, რაც ქვეყანას საშუალებას აძლევს აიმაღლოს ეროვნული სტანდარტები და მოახდინოს მათი ჰარმონიზაცია საერთაშორისო სტანდარტებთან.

ბოლო პერიოდში საქართველო მრავალი გამოწვევის წინაშე დგას. პირველ რიგში, ეს არის ის ეკონომიკური პრობლემები, რომლებიც აფერხებს ქვეყნის, როგორც ეკონომიკურ, ასევე, სოციალურ განვითარებას. ძირითად პრობლემას წარმოადგენს ინფლაცია, არასტაბილური სავალუტო კურსი, ფასების ზრდა და სხვა. ჩამოთვლილი საკითხების მოსაგვარებლად საჭიროა სწორად გავაანალიზოთ თუ რა ახდენს გავლენას დოლარის კურსზე საქართველოში. ერთ-ერთი მიზეზი დოლარის კურსის მერყეობისა არის ექსპორტისა და იმპორტის ბალანსის არასტაბილურობა. იმის გამო, რომ საქართველოში

ექსპორტს იმპორტი სჭარბობს წლების განმავლობაში ქვეყნის საგარეო ვაჭრობის სალდო უარყოფითია. ქვეყნის ყოველდღიურობასა და ლარის კურსზე აისახა ბოლო წლებში არსებული სავაჭრო დეფიციტიც, რომელიც გამოწვეულია ექსპორტ-იმპორტის სხვაობით.

საქართველო აქტიურად არის ჩართული მსოფლიო მეურნეობაში ეროვნული ეკონომიკის ინტეგრაციით, რაც განპირობებულია საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციით. წლიდან წლამდე იზრდება საგარეო ვაჭრობის ბრუნვა, უცხოური ინვესტიციების მასშტაბი და ფართოვდება ვაჭრობის გეოგრაფიული არეალი. ქვეყანამ აღადგინა თავისი გეოპოლიტიკური ფუნქციები და გახდა რამდენიმე ევრაზიული სახელმწიფოს ეკონომიკური პარტნიორი.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია საქართველოს საგარეო ვაჭრობის ანალიზი, მისი დადებითი და უარყოფითი ასპექტების განხილვა, აქტუალური პრობლემების შესწავლა და მათი გადაჭრის გზებზე მსჯელობა. ასევე საქართველოს საგარეო ვაჭრობის პოტენციალის შესწავლა და პერსპექტივები. ნაშრომის ამოცანაა თანამედროვე მდგომარეობიდან გამომდინარე არსებული საგარეო სავაჭრო ურთიერთობების შეფასება , არსებული ორმხრივი ხელშეკრულებების დადებითი და უარყოფითი მხარეების განხილვა, აგრეთვე Covid-19 პანდემიის გავლენის ანალიზი ქვეყნის საგარეო სავაჭრო კავშირებზე და შედეგების შეჯამება.

საქართველოს ძირითად მიზანს ევროკავშირში ინტეგრაცია წარმოადგენს. ევროკავშირი დღეისათვის ერთ-ერთი განვითარებული რეგიონია სავაჭრო-ეკონომიკური პოტენციალით. საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე სავაჭრო პოლიტიკა მიმართულია ევროპული ინტეგრაციისაკენ. სტრატეგიული თვალსაზრისით საქართველოსთვის დიდი მნიშვნელობა აქვს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას ევროკავშირთან, ასევე, უცხოური ინვესტიციების მოზიდვასა და ვაჭრობის ლიბერალიზაციას, რაც გამოიწვევს ექსპორტის ზრდას, სოციალურ ეკონომიკურ განვითარებასა და უცხოური ინვესტიციების დაინტერესებას. აქედან გამომდინარე საქართველოსთვის პრიორიტეტულია ევროკავშირის ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება და ინვესტიციების მოზიდვა.

ნაშრომის მიზნებისა და ამოცანებიდან გამომდინარე, პირველ თავში მოცემულია: საგარეო ვაჭრობის თეორიული საფუძვლები, მისი მახასიათებლები და არსი, ასევე სავაჭრო თეორიების ევოლუცია და სახელმწიფო რეგულაციის სახეები. მეორე თავში საუბარია საქართველოს საგარეო სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობებზე, მათ შორის საქართველოს კავშირებზე ქვეყნების მიხედვით, საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივ ხელშეკრულებებზე, ასევე, მათ დადებით მხარეებზე და მოქმედ სავაჭრო რეჟიმებზე. მესამე თავის დასაწყისში სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე შეჯამებული და განხილულია ქვეყნის საგარეო ვაჭრობა 2015-2020 წლების პერიოდში. ბოლო ნაწილში მოცემულია მოსახლეობის დამოკიდებულების კვლევა საქართველოს საგარეო ვაჭრობის პოტენციალზე მიმდინარე Covid-19 პანდემიის პირობებში. მასში ასახულია თუ , როგორ იმოქმედა პანდემიის შედეგად გამოწვეულმა კრიზისმა საქართველოს საგარეო ვაჭრობაზე და როგორ აფასებენ აღნიშნულ მდგომარეობას ქვეყნის მოსახლეობა. მიღებული შედეგების საფუძველზე გაკეთდა დასკვნები და შეჯამებული იქნა თავის ბოლო ნაწილში. დასკვნაში მოცემულია ნაშრომში არსებული თავების მიმოხილვა და მათი ანალიზის საფუძველზე გაკეთებული დასკვნები.

1.საერთაშორისო ვაჭრობის თეორიული საფუძვლები

1.1.საგარეო ვაჭრობის კვლევის თეორიული საფუძვლების მიმოხილვა

საუკუნეების განმავლობაში, საქონლითა და მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობა, როგორც ეკონომისტების, ისე ფილოსოფოსების შესწავლის ძირითად საგანს წარმოადგენდა. ამ სფეროში ჩატარებული კვლევები, როგორც წესი, ერთიანდება 3 ძირითადი კითხვის გარშემო : რა არის საერთაშორისო ვაჭრობის მიზანი? ბ) რა შედეგები მოაქვს საერთაშორისო ვაჭრობას? , გ) აუცილებელია თუ არა მთავრობის ინტერვენცია საერთაშორისო ვაჭრობაში?

შუა საუკუნეებამდე ფილოსოფოსებსა და თეორეტიკოსებს არ ჰქონდათ საერთაშორისო ვაჭრობის სისტემური შესწავლის მეთოდი აქედან გამომდინარე ადრე გამოთქმული თეორიები საკმაოდ ფრაგმენტული იყო ან ეთიკურ და პოლიტიკურ მოსაზრებებს არ ემთხვეოდა. იგი შედგებოდა 4 ძირითადი პერიოდისგან: ძველი ბერძნული აზროვნება, სქოლასტიკური და ქრისტიანული აზროვნება, მერკანტილიზმი და ფიზიოკრატია.

ძველი ბერძნული აზროვნების საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებული ყველაზე მნიშვნელოვანი იდეები გვხვდება პლატონის, ქსენოფონტისა და არისტოტელეს ნაშრომებში. მათ გაანალიზეს შრომის დაყოფისა და საქონლის ნებაყოფლობითი გაცვლის შედეგები და მიიჩნიეს, რომ ისინი სასარგებლოა გარიგების მონაწილე ორივე მხარისათვის. ძვ.წ. 380 წელს, პლატონმა განიხილა თეორია, რომ შრომის დანაწილება უფრო მაღალ პროდუქტიულობას და უფრო მაღალ გამომუშავებას იწვევს, ვიდრე ავტოკრატია, აგრეთვე ინდივიდებს აძლევს სპეციალიზაციას მათი შესაძლებლობებისა და ხელმისაწვდომი ბუნებრივი რესურსების შესაბამისად . ძვ.წ. 340 წელს ქსენოფონტმა, პლატონის მსგავსად, ასევე, მოიხსენია ფასების არბიტრაჟის სარგებლიანობა და აგრეთვე, საერთაშორისო ბაზრების უპირატესობა საბერძნეთის ქალაქების ვაჭრებისთვის. (Krugman, 2009)

დღეისათვის საქართველოს ეკონომიკა აქტიურად არის მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციის პროცესში ჩართული, აქედან გამომდინარე ქვეყნისათვის უფრო მნიშვნელოვანი ხდება სავაჭრო ურთიერთობების არსის შესწავლა და საგარეო სავაჭრო

პროცესების დინამიკის, დონისა და სხვა ტენდენციების დადგენა და ანალიზი. ეროვნული ეკონომიკების ინტერნაციონალიზაციამ, საზღვრების გახსნამ, როგორც საქონლისა, ასევე, კაპიტალის გადაადგილებისათვის, შექმნა ახალი რეალობა, გააფართოვა საწარმოებისა და კორპორაციების მოქმედების სფერო და საბოლოოდ მიიღო საერთაშორისო ხასიათი. ამიტომ, XXI საუკუნეში არ მოიძებნება ქვეყანა, რომელიც დაკავშირებული არ არის დანარჩენ მსოფლიოსთან ეკონომიკურად. კონკურენციის გამო შრომის საერთაშორისო დანაწილების პროცესს მიეცა ბიძგი. შედეგად ქვეყნები სპეციალიზირდნენ ისეთ სფეროებში, რომლებიც მათთვის უფრო მომგებიანი იქნებოდა, ასევე, შეუდგნენ ხარისხიანი პროდუქციისა და მომსახურების მიწოდებას საერთაშორისო ბაზრისთვის, სადაც მოთხოვნას ეროვნული ბაზარი ვერ აკმაყოფილებდა. ამგვარმა ურთიერთდამოკიდებულებამ გააღრმავა ეროვნულ ეკონომიკებს შორის კავშირი და ერთიან სისტემაში მოუყარა თავი. ინტეგრაციული პროცესის შეუქცევადობამ გამოიწვია ტენდენცია, რომ ქვეყნის განვითარება მარტო ეროვნულ ჩარჩოებში ვერ მოხდებოდა და საჭირო იყო ამ გლობალურ პროცესში ჩაბმა.

მსოფლიო ეკონომიკურმა ურთიერთობებმა მიიღო გლობალური ხასიათი, რამაც განავითარა მსოფლიო მეურნეობა და გააფართოვა მისი არსებობის არეალი. საერთაშორისო მეურნეობა გახდა ეკონომიკური ორგანიზმი, რომელმაც გააერთიანა ეროვნული ეკონომიკები, რომლებიც იყვნენ ურთიერთდამოკიდებულნი და საბაზრო ეკონომიკის კანონებს ექვემდებარებოდნენ. ექსპორტისა და იმპორტის მეშვეობით სახელმწიფოებს შორის საქონლისა და მომსახურების გაცვლა წარმოადგენს საგარეო ვაჭრობას. იგი ურთიერთხელსაყრელ ყიდვასა და გაყიდვაზეა დაფუძნებული. საერთაშორისო ვაჭრობის სფერო დამოკიდებულია, როგორც ქვეყნის შიდა ეკონომიკურ პოლიტიკაზე ასევე სხვადასხვა წამყვანი სავაჭრო ქვეყნების საგარეო ეკონომიკურ კურსზე და შესაბამისად მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე. (შენგელია, 2018) საგარეო ვაჭრობას აქვს, როგორც დადებითი ასევე უარყოფითი მხარეები. ისინი გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. ესენია: სხვაობა მობილობაში- პროდუქციის გადაადგილება შიდა ბაზარზე უფრო მარტივია ვიდრე ქვეყნის გარეთ; ქვეყნები იყენებენ სხვადასხვა ვალუტას, რაც იმპორტის შემთხვევაში ხშირად უარყოფითად აისახება სახელმწიფოზე, საგარეო ვაჭრობის პოლიტიკა

ეროვნულისაგან განსხვავდება და სხვა რეგულაციებს მოითხოვს, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტებით არის განსაზღვრული. საგარეო ვაჭრობის, როგორც მეცნიერების შესწავლისათვის მრავალი მეთოდი გამოიყენება. მათ შორის არის დიალექტური მეთოდი, რომელიც მოვლენებს განიხილავს დინამიკაში. აღნიშნულის გარდა გამოიყენება ისეთი მეთოდები როგორებიცაა დედუქცია, ინდუქცია, ანალიზი, სინთეზი და მეცნიერული აბსტრაქცია. რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლები არის ის მაჩვენებლები, რომლითაც ეკონომიკური ურთიერთობები ხასიათდება. მათ რიგებშია: იმპორტი, ექსპორტი, საგარეო ვაჭრობის სალდო, ესნ(საგარეო ვაჭრობის ერთიანი სასაქონლო ნომენკლატურა), ეკონომიკის გახსნილობის რაოდენობრივი ინდიკატორი, გენერალური ვაჭრობა და სხვა.

ექსპორტი არის ერთ ქვეყანაში საქონლის ან მომსახურების წარმოება და მეორე ქვეყანაში გაყიდვა. ექსპორტის საპირისპირო ქმედებაა იმპორტი- ერთი ქვეყნიდან საქონლის შემენა და სხვა ქვეყანაში გაყიდვა. ექსპორტის და იმპორტის დონეზე შეიძლება გავლენა იქონიოს სამთავრობო პოლიტიკამ. მაგალითად, სუბსიდიების შეთავაზებით, რომელიც ან ზღუდავს ან ხელს უწყობს საზღვარგარეთ კონკრეტული საქონლისა და მომსახურების გაყიდვას. გარკვეული საქონლის ექსპორტი, როგორიცაა მაგ. სამხედრო ტექნოლოგია, მთავრობამ შეიძლება საერთოდ აკრძალოს გარკვეული ქვეყნებისათვის სავაჭრო ემბარგოების ან მთავრობის სხვა რეგულაციების საშუალებით (მაგ., ამერიკული კომპანიები, ზოგადად, ვერ ახერხებენ კუბიდან ექსპორტს ან იმპორტს). ქვეყანას შეიძლება ჰქონდეს ხელსაყრელი პოზიცია ექსპორტისათვის რამდენიმე მიზეზის გამო. ქვეყანას შეუძლია ექსპორტზე გაიტანოს ის პროდუქტი რომლის ერთადერთი ან იშვიათი მიმწოდებელი იქნება მსოფლიო ბაზარზე. მაგალითად, როდესაც მას აქვს ბუნებრივი რესურსებზე წვდომა, რომელიც სხვებს არ აქვთ. ზოგიერთ ქვეყანას, ასევე, შეუძლია პროდუქციის წარმოება შედარებით დაბალ ფასად, ვიდრე სხვა ქვეყნებში, მაგალითად, როდესაც შრომის ნაკლები ღირებულებაა. სხვა ფაქტორები მოიცავს უმაღლესი ხარისხის საქონლის წარმოების უნარს ან საქონლის წარმოების უნარს წლის სეზონში, როდესაც სხვა ქვეყნებს ესაჭიროებათ. (Charles W.L.Hill, 2007) ქვეყნის საერთაშორისო ვაჭრობა მოიცავს როგორც საქონლისა და

მომსახურების იმპორტირებას, ასევე ექსპორტს. ექსპორტირებულ ოდენობასა და იმპორტირებულ რაოდენობას შორის სხვაობა ვაჭრობის სალდოს შეადგენს. სავაჭრო ბალანსის დადებითი სალდო აღნიშნავს, რომ ექსპორტი აღემატება იმპორტს, უარყოფითის შემთხვევაში იმპორტი აღემატება ექსპორტს. დადებითი სალდო, ქვეყნის გადახდების ბალანსში ნიშნავს ამ ქვეყნის შემოსავლების სიჭარბეს — სხვა ქვეყნების მისამართით განხორციელებულ გადახდებთან. (https://ka.wikipedia.org, 2020)

1.2.საგარეო ვაჭრობის თეორიების ევოლუცია და ძირითადი მახასიათებლები

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის ყველაზე ძველი ფორმაა ვაჭრობა, რომელზეც დღეს ეკონომიკური ბრუნვის 80 პროცენტი მოდის. საქონელბრუნვის ერთობლივ მოცულობას წარმოადგენს ქვეყნებს შორის განხორციელებული ანაზღაურებული ვაჭრობა. საერთაშორისო და საგარეო ვაჭრობა განსხვავდება ერთმანეთისგან. საგარეო ვაჭრობა არის ქვეყნებს შორის რეალიზებული ექსპორტ-იმპორტის მოცულობა. საერთაშორისო ვაჭრობის ობიექტებია მატერიალური ნივთები, მომსახურება და ინტელექტუალური საკუთრება. ყველა მათგანი მოიხსენება, როგორც საქონელი. XXI საუკუნეში, როცა გლობალიზაცია გახდა ეპოქის ნაწილი საერთაშორისო ვაჭრობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები ხორციელდება. ეს ეხება, როგორც სასაქონლო ნომენკლატურას, ასევე, მისი ზრდის ტემპსა და გავრცელების გეოგრაფიას.

1990 წლებიდან ინტერნაციონალიზაციის ტალღის გაძლიერება განაპირობა ქვეყნების დიდი ნაწილის მიერ გატარებულმა პოლიტიკამ, რომელიც ღია ეკონომიკის ფორმირებისკენ იყო მიმართული. ინტერნაციონალიზაციის პროცესების გაძლიერება აისახა ტრანს ნაციონალიზაციის, ინტეგრაციისა და გლობალიზაციის ტენდენციების გაღრმავებაში, რაც საერთაშორისო ბიზნესის განვითარებისთვის ხელშემწყობ გარემოს აყალიბებს. საერთაშორისო ბიზნესის აქტივიზაციის და მსოფლიო ბაზართან სრულფასოვანი ინტეგრაციისთვის უმნიშვნელოვანესია საერთაშორისო ვაჭრობის,

პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და ეკონომიკური განვითარების შესახებ ეკონომიკური კონცეფციების და მსოფლიო გამოცდილების შესწავლა, რომლის საფუძველზეც მომავალში ბიზნესის ინტერნაციონალიზაციის სწორი სახელისუფლებლო პოლიტიკის გატარება გახდება შესაძლებელი. სულ მცირე, სამი ასეული წელია, რაც საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში მეცნიერები იკვლევენ პრობლემას, თუ რატომ ვაჭრობენ სახელმწიფოები (ერები) ერთმანეთთან. პასუხი წარმოდგენილ კითხვაზე დღესაც აქტუალურია, არამარტო საკითხის მეცნიერული შესწავლის, არამედ საერთაშორისო სავაჭრო გარიგებების პრაქტიკული რეალიზაციის, ვაჭრობის მიმართულებების, სტრუქტურის და მოცულობის განსაზღვრისთვის. საერთაშორისო ვაჭრობის თეორიის მკვლევართა შორის კლასიკური სკოლის ფუძემდებელმა ადამ სმითმა თავის ნაშრომში ,,გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნების და მიზეზების შესახებ" (1776) სცადა პოლიტიკურად მოტივირებული მერკანტილიზმის ფილოსოფიის დანგრევა, რომელიც ემყარებოდა შიგა და საგარეო ვაჭრობის სამთავრობო ინტერვენციასა და კონტროლს.

მერკანტილიზმის თეორია.

საგარეო ვაჭრობის შესწავლა მერკანტილიზმის ეპოქას უკავშირდება რომელიც XVI-XVII საუკუნეებს მოიცავს. მისი არსი განისაზღვრებოდა იმ პრინციპით რომ ოქროს დაგროვება განაპირობებდა ერის სიმდიდრეს და სახელმწიფომ უნდა აწარმოოს ისეთი პოლიტიკა, რომლითაც შეზღუდავს იმპორტს და ხელს შეუწყობს ექსპორტის გაზრდას. (ნ.ჟვანია, 2006)

ფეოდალიზმის განვითარებამ ევროპის რეგიონში განაპირობა ერების გამდიდრებისაკენ ლტოლვა, რამაც სურვილი გაუჩინათ გეოგრაფიული აღმოჩენებისა. შემდგომ ნაოსნობის განვითარებამ უკვე შესაძლებელი გახადა ახალი ტერიტორიების აღმოჩენა და ოქროს მოძიება, რის გამოც გაიზარდა ოქროს გამოყენება როგორც ფულადი ერთეულისა.

სახელმწიფოებმა დაიწყეს ბრძოლა გავლების სფეროების გაფართოებისთვის, რამაც ხელი შეუწყო კოლონიების დაპყრობას მათ მიერ და გაიზარდა ქალაქების რაოდენობა. ამ

პერიოდში განათლების დონეც ამაღლდა. ამ ფონზე საჭირო იყო ახალი სისტემის კონცეფცია, რომელიც ექსპანსიის აუცილებლობას დაასაბუთებდა ეროვნული ეკონომიკის განვითარების პროცესისთვის. სწორედ ასეთი თეორია აღმოჩნდა მერკანტილიზმი. მათ მიმდევრებს მიაჩნდათ რომ ქვეყნის ეკონომიკური აღორძინება შესაძლებელია მხოლოდ მეორე ქვეყნის გაღარიბების ხარჯზე რაც შეზღუდული სიმდიდრის არსებობას ასაბუთებს.

მათი აზრით, ეკონომიკა შედგება სასოფლო-სამეურნეო, საწარმოო და უცხოური კოლონიებისგან. ისინი შრომას მიიჩნევდნენ წარმოების მთავარ ფაქტორად ხოლო ვაჭრებს იმ ჯგუფად, რომელთა არსებობაც საჭიროა ეკონომიკური სისტემის წარმატებისათვის. ისინი თვლიდნენ, რომ ქვეყანა მდიდარი იყო თუ ოქრო-ვერცხლის მარაგი ქონდათ. ხოლო ეროვნული პოზიციების შესანარჩუნებლად შემდეგი მითითებები უნდა შეესრულებინათ: რეგულირება მოახდინოს საგარეო ვაჭრობისა: დადებითი სავაჭრო სალდოს შენარჩუნება; შეამციროს იმპორტი და გაზარდოს ექსპორტი;გამოიყენოს ტარიფი, კვოტა და სხვა ინსტრუმენტები; აკრძალოს ნედლეულის გატანა; შეინარჩუნოს დაბალი ფასები მზა პროდუქტზე.

მერკანტილიზმის მიმდევრები გმობდნენ ძვირფასი ლითონის გატანას ქვეყნიდან, რამაც განაპირობა მასზე რეგულაციების გამკაცრება. ისინი ვისაც ძვირფასი ლითონი ქვეყნის გარეთ გაჰქონდა მკაცრად ისჯებოდა. (Krugman, 2009)მერკანტილისტები იყვნენ პირველები ვინც საგარეო ვაჭრობას მიანიჭეს დიდი მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის და შექმნეს მისი განვითარების მოდელი. ასევე, პირველებმა შემოიტანეს საგადასახდელო ბალანსი ეკონომიკური აღრიცხვის ფორმად.

მერკანტილიზმის მიმდევრებმა ვერ გათვალეს ის, რომ ერთი ქვეყნის გამდიდრება აუცილებლად მეორე ქვეყნის გაღარიბების ხარჯზე არ უნდა მოხდეს. რეალურად ქვეყნის გამდიდრება შესაძლებელია ამის გარეშეც, განვითარების გზით. მათ ფიზიოკრატებისაგან განსხვავებით საგარეო ვაჭრობას არ გაუკეთეს იგნორირება, რამაც ბიძგი მისცა კლასიკური სკოლის ჩამოყალიბებას. მერკანტილისტების შეხედულებები ეკონომისტმა დ.იუმმა გააკრიტიკა პირველად. მან შექმნა ურთიერთზემოქმედების მოდელი, რამაც ეჭვქვეშ

დააყენა მერკანტილიზმის მიმდევართა აზრი, რომ ქვეყნებს შეუძლიათ ოქრო უსასრულოდ დააგროვონ და ეს მათ საერთაშორისო კონკურენტუნარიანობაზე გავლენას არ მოახდენს.

ქვეყნების შიგნით ფულის მიწოდების გაზრდა სავაჭრო ბალანსის დადებითი სალდოს შენარჩუნების ხარჯზე ხდება და იწვევს ფასებისა და ხელფასების ზრდას, რის შედეგადაც ქვეყნის კონკურენტუნარიანობაც ეცემა. პირიქით, ოქროს გასვლა ქვეყნიდან აამაღლებს ფასების დონეს და გაზრდის ქვეყნის კონკურენტუნარიანობას. აქედან გამომდინარე, გარკვეული შიდა ფაქტორები დადებითი სალდოს მქონე სავაჭრო ბალანსის შენარჩუნებას ეწინააღმდეგება. სწორედ ოქროს მოძრაობა წარმოადგენს ეროვნული ეკონომიკების მოწესრიგების პრინციპს, ხოლო თუ ექსპორტის სიდიდე გაუტოლდება იმპორტისას სავაჭრო სალდო ნულს გაუტოლდება. XVIII საუკუნეში მერკანტილიზმი ჩანაცვლდა ფრიტრედერული შეხედულებებით. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ვაჭრობის თავისუფლება შედის ნებისმიერი ერის ინტერესში, რაც გულისხმობდა, რომ ადამიანებმა ისე უნდა ივაჭრონ როგორც მოესურვებათ. ძირითად საკითხს მაინც წარმოადგენდა სავაჭრო სტრუქტურის ფორმირებაში მონაწილე საკითხების განსაზღვრა. მერკანტილისტური ეპოქა XVIII საუკუნეში დასრულდა. ამის მიუხედავად მათი მოძღვრებები დღესაც აქტუალურია და პოლიტიკოსები, რომლებსაც სურთ სავაჭრო შეზღუდვები, აქტიურად იყენებენ მსგავს პოლიტიკას. (McCulloch, 2008)

აბსოლიტური უპირატესობის თეორია (ა. სმითი)

აღნიშნული თეორია ხსნის იმას რომ ქვეყანას შეუძლია აწარმოოს საქონელი და მომსახურება იმ პროდუქტისა, რომლის წარმოებასაც ნაკლები დანახარჯი სჭირდება ვიდრე სხვა ქვეყანა ხარჯავს ანალოგიური საქონლისა და მომსახურების წარმოებაში ანუ პირველ ქვეყანას გააჩნია ერთგვარი აბსოლიტური უპირატესობა. ადამ სმითი პირველად საკუთარი ნაშრომის საფუძველზე „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“ დაუპირისპირდა პროტექციონიზმის არსს. მან ქვეყნები შეადარა ოჯახურ მეურნეობას რადგან ისინი აუცილებელი საჭიროებების პროდუქტს აწარმოებენ, სხვა პროდუქციას კი შეისყიდიან. სწორედ იმავე პრინციპით მოქმედებენ სახელმწიფოები. (ა.სილაგაძე, 2001)

ა. სმითი თავის ნაშრომში წერდა, რომ ყველა ჭკვიანი ცდილობს ის საქონელი იყიდოს სხვისგან, რისი წარმოებაც თვითონ ძვირი უჯდება. (ლინდერტი, 2001)ანალოგიური პრინციპით ქვეყანას შეუძლია იყიდოს ის საქონელი სხვა ქვეყნისგან, რომლის წარმოებაც თვითონ ძვირი უჯდება, შედარებით იაფად, სანაცვლოდ იმ საქონლისა, რომელშიც მას აბსოლიტური უპირატესობა გააჩნია.მან გააკრიტიკა მერკანტილიზმი და საერთაშორისო ვაჭრობის რაციონალური საკითხი დასვა. მისი აზრით ქვეყანისთვის მომგებიანი შეიძლება იყოს, როგორც საქონლის გაყიდვა საგარეო ბაზარზე ასევე ყიდვა. ის ცდილობდა განესაზღვრა რომელი საქონლის გატანა ექსპორტზე იქნებოდა მომგებიანი და რომლის იმპორტირება.ამგვარმა მიდგომამ ამსოლიტური უპირატესობის მოდელის სახელით დაიმკვიდრა თავი ეკონომიკურ ლიტერატურაში. აღნიშნული თეორიის საფუძველი ის ბუნებრივი რესურსია, რომელიც ქვეყანას გააჩნია, მაგრამ არსებობს ასევე წარმოქმნილი უპირატესობებიც.

აბსოლიტური უპირატესობის მოდელი: საერთაშორისო ვაჭრობა იმ შემთხვევაშია მომგებიანი როცა ქვეყანა აწარმოებს ისეთ საქონელს, რომლის წარმოებისთვისაც სჭირდება მცირე დანახარჯები სხვა ქვეყანასთან შედარებით. თუ დავუშვებთ, რომ წარმოების ერთადერთი ფაქტორი შრომაა და ქვეყანაში არის სრული დასაქმება, აბსოლიტური უპირატესობა ნიშნავს, რომ სხვა ქვეყანასთან შედარებით პირველ ქვეყანას უფრო ნაკლები დრო სჭირდება აღნიშნული პროდუქტის საწარმოებლად. (economy.ge, 2018)

ამის მიუხედავად სმითის დასკვნები არ იყო სრულყოფილი. მან ის აზრი ვერ უკუაგდო, რომ ახალ სამუშაო ადგილებს ქმნის იმპორტის შეზღუდვა. ამის გარდა ის ფიქრობდა, რომ გარკვეული ერი ფლობს აბსოლიტურ უპირატესობას საკუთარი სავაჭრო პარტნიორების მიმართ, რომ იმდენივე საქონელი მიაწოდოს, რამდენიც საზღვარგარეთ შეისყიდება, თუ თავისუფალი იქნება ვაჭრობა სხვადასხვა შეზღუდვებისგან, მაგრამ ბევრი კითხვა მაინც უპასუხოდ დარჩა. (ლ.ძებისაშვილი, 2012)

ფარდობითი უპირატესობის თეორია (დ. რიკარდო):

ა.სმითისაგან განსხვავებით დ.რიკარდომ თავის ნაშრომში „პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები“(1819) განიხილა სიტუაცია, როცა ერთი ქვეყანა ყველა საქონლის წარმოებაში ფლობს აბსოლიტურ უპირატესობას. მან სმითის მოდელი განიხილა როგორც კერძო შემთხვევა და ჩამოაყალიბა ურთიერთსარგებლიამობის პრინციპი ვაჭრობისა და საერთაშორისო სპეციალიზაციისა.

აღნიშნული შემთხვევა წარმოადგენს ფარდობით უპირატესობას და გულისხმობს იმას რომ ერთი ქვეყანა ორივე საქონლის წარმოებაში ფლობს აბსოლიტურ უპირატესობას. XIX საუკუნის დასაწყისში იგი შეეცადა ვაჭრობის მიზეზების გამოკვლევას და სურდა ამით აეხსნა თავისუფალი ვაჭრობის უპირატესობები. სხვადასხვა კვლევითა და ძიებით რიკარდომ მიიღო კლასიკური დასკვნა, რომ ორივე ქვეყანას ძალუძს ერთმანეთთან ვაჭრობით მიიღოს მოგება, თუ ორივე აწარმოებს ისეთ საქონელს რომელშიც ფლობს ფარდობით უპირატესობას. რიკარდოს აზრით, ვაჭრობა იმ შემთხვევაშიც ხელსაყრელია ორივე მხარისათვის, როცა ქვეყანა არ ფლობს აბსოლიტურ უპირატესობას. ვაჭრობის არ არსებობის შემთხვევაში თუ ქვეყნების ფასებს შორის არსებობს სხვაობა, მაშინ კონკრეტულ ქვეყანას აქვს ფარდობითი უპირატესობა, ანუ მისთვის არსებობს ისეთი საქონელი, რომლის წარმოებაც მომგებიანია წარმოების ხარჯების შესაბამისობისას, ვიდრე ნებისმიერი სხვა საქონლის წარმოებისას. სწორედ აღნიშნული საქონელი უნდა იქნას გატანილი ექსპორტზე. რიკარდომ ჩამოაყალიბა ერთგვარი ფარდობითი უპირატესობის კანონი. მისი აზრით გარკვეული საქონლის წარმოებაში თითოეული ქვეყანა ფლობს ფარდობით უპირატესობას და იღებს მოგებას, იგი ყიდულობს სხვისგან და ვაჭრობს წარმოებული საქონლით. გაცვლის შედეგად მიღებული მოგება არ არის დამოკიდებული იმაზე თუ რა აბსოლიტურ უპირატესობას ფლობს ქვეყანა, არამედ დამოკიდებულია ხარჯების შესაბამისობაზე, რომელიც ვაჭრობის არსებობის პირობებში წარმოიქმნება. ამიტომ მხოლოდ საქონელთა წარმოების ხარჯებს შორის განსხვავება შეიძლება იყოს საგარეო ვაჭრობის წყარო. დანახარჯების აბსოლიტურ ზომებს არ ექცევა ყურადღება. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ალტერნატიულ ღირებულებასთან, რომელიც გამოიხატება ერთი ქვეყანაში წარმოებული

საქონლის მეორე საქონელში წარმოების ხარჯების გამოხატულებასთან. სწორედ ფარდობითი და აბსოლიტური უპირატესობების კონცეფციები წარმოადგენს საერთაშორისო ვაჭრობის საფუძველს, მაგრამ ისინი ერებს შორის ვაჭრობის მიზეზს მხოლოდ შრომის დანახარჯის ერთეულს უკავშირებენ.

ამ პერიოდში შრომითი დანახარჯი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იყო საწარმოო დანახარჯების დათვლისას და დიდი ყურადღება ენიჭებოდა. XXI საუკუნის დასაწყისში საერთაშორისო ვაჭრობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. შეიცვალა შრომის მწარმოებლურობა, ვაჭრობა გააქტიურდა აშშ-სა და დასავლეთ ევროპას შორის და ბუნებრივი რესურსების როლი შემცირდა, ასევე, შეიცვალა შრომის მწარმოებლურობა.

წარმოების ფაქტორების თანაფარდობების ჰეკშერ-ოლინის თეორია და მისი ტესტირება (ლეონტიევის პარადოქსი):

ჰექშერმა 1919 გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც ჩამოაყალიბა ფაქტორ ტევადობის თეორიის შესახებ ძირითადი პრინციპები, რომელიც შემდგომში ბერტილ ოლინმა განავითარა. აღნიშნული თეორია ხსნის განსხვავებას ფასებს შორის, რომელიც ქვეყნებს შორის არსებობს სავაჭრო ურთიერთობების დამყარებამდე. (ა.სილაგაძე, 2001) ისინი საერთაშორისო ფასების სხვაობას ხსნიდნენ წარმოების ფაქტორის უზრუნველყოფით.

ჰეკშერ-ოლინის თეორიის თანახმად, საქონელი, რომელიც წარმოების ჭარბ და დეფიციტურ ფაქტორებს საჭიროებს, იცვლება საქონელზე, რომელიც უკუპროპორციული ფაქტორთა გამოყენებით არის წარმოებული ანუ ფარულად იმპორტირდება დეფიციტური წარმოების ფაქტორი ხოლო ექსპორტირდება ჭარბი. ეს ნიშნავს იმას რომ წარმოების ფაქტორები არის ჭარბი და მისი რაოდენობისა და სხვა ფაქტორების თანაფარდობა მაღალია სხვა ქვეყნებთან შედარებით. აღნიშნული მეთოდის დამსახურებაა ის, რომ გვაძლევს რეალურ სურათს შემოსავლების გადანაწილებისა საზოგადოებაში საერთაშორისო ვაჭრობის შედეგად. აქ ინდივიდები სხვადასხვა წარმოების ფაქტორების სახით წარმოგვიდგება. სწორედ ეს თეორია ამტკიცებს, რომ საერთაშორისო ვაჭრობა

საზოგადოებას ყოფს სხვადასხვა ჯგუფად. ეს ჯგუფებია: ის ვინც იგებს და ვინც აგებს, რადგანაც სხვების ხარჯზე იწვევს შედარებითი ფასების ცვლილება წარმოების ფაქტორთა ცალკეულ ინდივიდთა ხელში კონცენტრაციას. აქედან გამომდინარე, საექსპორტო წარმოებაში რაც უფრო მეტი ფაქტორია სპეციალიზებული, მით უფრო მეტია საგარეო ვაჭრობიდან მიღებული მოგება. მოცემული თეორიის შემოწმება მრავალმა მკვლევარმა სცადა სხვადასხვა დროში. მათ შორის აღმოჩნდა 1953 წელს ლეონტიევის პარადოქსი, რომელიც ვასილ ლეონტიევმა შეიმუშავა. ომის შემდეგ აშშ უფრო მეტად იყო კაპიტალით უზრუნველყოფილი და სხვა სახელმწიფოებთან შედარებით ხელფასებიც უფრო მაღალი იყო. ჰექშერ-ოლინის თეორია ქადაგებდა, რომ აშშ გახლდათ კაპიტალის ექსპორტიორი ხოლო შრომატევადი საქონლის იმპორტიორ ქვეყანად ითვლებოდა. მაგრამ ლეონტიევის კვლევამ პარადოქსული შედეგები მოგვცა: აშშ-ს ექსპორტისა და იმპორტის შრომატევადობის დონე ერთმანეთისგან განსხვავდებოდა. ლეონტიევმა შეამოწმა ჰეკშერ-ოლინის თეორია და მიიღო პარადოქსული შედეგები. კონკრეტულად კი პარადოქსული აღმოჩნდა ის რომ ჰეკშელ-ოლინის თეორიის მიხედვით აშშ ეკონომიკაში ითვლებოდა ექსპორტიორად. აღნიშნული თეორია რეალობას სცილდებოდა, რადგან არსებობს ფაქტორები, რომელთა დაიგნორებაც არ შეიძლება. ხოლო აშშ-ს წარმოების ფაქტორთა შორის კაპიტალი არც ისე ჭარბად იყო; აშშ აწარმოებდა და ექსპორტზე გაქონდა ისეთი საქონელი რომლის წარმოებაშიც მაღალკვალიფიციური კადრები და მიწა გამოიყენებოდა, ხოლო იმპორტირებული საქონელი კაპიტალტევადი პროდუქტი იყო. ლეონტიევის იდეა განავითარეს სხვა ქვეყნებმაც. 1995 წელს გაკეთდა ექსპორტ-იმპორტის ანალიზი, რომელმაც აჩვენა რომ ქვეყანას შემოაქვს შრომატევადი ხოლო გააქვს კაპიტალტევადი პროდუქცია, რაც ეწინააღმდეგებოდა ჰექშელ-ოლინის თეორიას. თუმცა ამერიკის შეერთებული შტატებისა და იაპონიის შორის ვაჭრობა შეესაბამებოდა ამ თეორიას და მის შედეგებს. ბევრი მკვლევარი ცდილობდა შესწორებული ნეოკლასიკური თეორიით ეხელმძღვანელათ და აღნიშნული პრობლემის ახსნისას სწორედ შესწორებულ ვერსიას იყენებდა. ძირითადად შესწორების დატვირთვა განაპირობა ფაქტორთა რიცხვის ზრდამ და ისეთი ფაქტორების დამატებამ როგორიც არის: ხარისხი, ტექნოლოგია, კვალიფიციური სამუშაო ძალა და სხვა.

საერთაშორისო ვაჭრობის ალტერნატიული თეორიები

ახალი მიდგომების შემუშავების შედეგად ბევრი მათგანი დაუპირისპირდა ფარდობითი უპირატესობის დოქტრინას, რადგან ანალიზის პროცესში შერჩეული იქნა არა რომელიმე ქვეყანა, არამედ საერთაშორისო ფირმა. სწორედ ამგვარი მიდგომაა ჩამოყალიბებული ამერიკელი მკვლევარების ს.რობოკისა და კ.სიმონდსის ნაშრომებში. ისინი თვლიდნენ, რომ „ვაჭრობის ტრადიციული თეორიის მიერ წარმოების ინტერნაციონალიზაციის პროცესის არსში ჩაწვდომის უუნარობა შეიძლება აიხსნას საკითხის არასწორი დასმით. (თ.შენგელია, 2017) დაისვა კითხვა თუ რატომ ვაჭრობენ ერები. ანუ რატომ მოძრაობს მომსახურება და საქონელი ერებს შორის, რაც განპირობებულია იმით, რომ ქვეყნებში უფრო მეტი საქონელი გადის და შედის რომელიც ერთი ფირმის ფარგლებშია მოქცეული. აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემით ნათელი გახდა, რომ ის ვინც იღებს გადაწყვეტილებას არის კომერციული დაწესებულება და არა თვითონ ერი. ასეთი მიდგომის საფუძველს წარმოადგენს ეკონომიკური მეცნიერების მიერ აღიარებული ფაქტები იმის შესახებ რომ სწორედ ფირმათა შორის გაცვლაა სავაჭრო ოპერაციების უმნიშვნელოვანესი ნაწილი. ფირმებს შორის ვაჭრობის თავისებურებას, რომლითაც მას განვასხვავებთ ტრადიციული საგარეო ვაჭრობისგან, გამოიხატება საგარეო გაცვლის ხასიათითა და თავისებურებებით. ფირმებს შორის ვაჭრობა დამოკიდებულია დამხმარე ნაწილების გაცვლაზე, სწორედ მსგავსი შიდა დარგობრივი გაცვლა ხასიათდება ზრდის სწრაფი ტემპით. ძირითადად საერთაშორისო მონოპოლიები ცდილობენ ისეთ ქვეყნებს მიაწოდონ საქონელი, რომლებიც მახასიათებლებით ისეთ ქვეყანას წარმოადგენენ, რომელსაც აქვთ მონოპოლიის წარმოშობის პარამეტრები. მსგავსი ქვეყნების თეორია მოწმობს, რომ საგარეო ვაჭრობა ფართოვდება ძირითადად განვითარებულ ქვეყნებს შორის. ის ფაქტი რომ საერთაშორისო მონოპოლისტები ამგვარად მოქმედებენ ეწინააღმდეგება ფარდობითი უპირატესობის დოქტრინას.

მაგალითად კაპიტალის გატანის მიზანს წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთის მიღება, მაგრამ განვითარებად ქვეყნებში დაბალი კაპიტალია, პროცენტი კი მაღალი. ეს დასკვნა მიიღება ფარდობითი უპირატესობის კანონიდან. საგულისხმოა, რომ რეალურად

თანამედროვე დროში კაპიტალის გატანის მიზანს წარმოადგენს მიწოდების ალტერნატიული წყაროების მოძიება. მსგავსად, როდესაც ნედლეულის მიწოდების წყაროს შერჩევა ხდება, ფირმა უპირატესობას ანიჭებს უფრო ძვირ მომწოდებელს, რომელიც უშუალოდ ამ ფირმის დაქვემდებარებაშია. ნებისმიერ შემთხვევაში მნიშვნელოვანია კონტროლის ხარისხი, საქონლის ფასებთან და წარმოების ფაქტორებთან შედარებით.

გერმანიაში ერთ-ერთ ინდიკატორად ინვესტიციების შეფასებისა გამოიყენება ქვეყნის სტაბილურობა. მისი მნიშვნელობა კაპიტალისა და სამუშაო ძალის ფასებთან შედარებით ძალიან მაღალია. შემოსავლის, საგარეო ვაჭრობის და მოთხოვნის ცვლილებების შესახებ ჩამოყალიბდა ჰიპოთეზა, რომელიც ეკუთვნის შვედ ეკონომისტს ს.ლინდერს. აღნიშნულ ჰიპოთეზას ეწოდა მოთხოვნასთან თავსებადობის ჰიპოთეზა. იგი ხსნის ტექნოლოგიისა და საგარეო ვაჭრობის ჯაჭვში მიზეზობრივ კავშირს. (თ.შენგელია, 2017) მოთხოვნაში ხანგრძლივი მოხმარების საგნების წილს ზრდის მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლის ამაღლება, რაც ენგელის კანონით არის ცნობილი. მოთხოვნის ზრდა ამგვარ საგნებზე მწარმოებლებს უჩენს ტექნოლოგიის დახვეწის სურვილს. იმის გამო, რომ მწარმოებლურობის ზრდა განპირობებულია მოთხოვნის გაზრდით, ბიძგს აძლევს ფასების შემცირებას და ხელს უწყობს ექსპორტს, ამიტომ ქვეყანა ექსპორტზე გაიტანს იმ საქონელს რომლის ხვედრითი წილიც მოხმარებაში საშინაო ბაზარზე დიდია.

ლინდერმა, ასევე, განიხილა ახალი საქონლის თავისებურებანი, რომლითაც მეოცე საუკუნის დასაწყისში ამერიკული ფირმები შევიდნენ ევროპის ბაზარზე. იმის გამო, რომ ამერიკელი მომხმარებლები მეტად თავშეკავებულები არიან ძვირადღირებული საქონლის მიმართ ვიდრე ევროპელები, ახალმა საქონელმა მარტივად გაიკვალა გზა ევროპის მიმართულებით. ლინდერმა, ასევე, დაასკვნა, რომ იმპორტიორი ქვეყნის სტრუქტურა ახლოს უნდა იყოს იმ მოთხოვნის სტრუქტურასთან, რომელიც კომპანიის მართველი ოფისის ქვეყანაშია. საბოლოოდ მისი ჰიპოთეზა არ იქნა შემოწმებული. მოცემული ჰიპოთეზა ექსპორტისა და მაღალი ფასის საქონლის შესახებ სამართლიანი აღმოჩნდა საავტომობილო ბაზრისთვის, რადგან ქვეყანას უფრო მეტი გააქვს ისეთი მარკის ავტომობილები, რომელთა ფასიც შეესაბამება ამ ქვეყნის საკუთარი შემოსავლის დონეს.

(Abbel, 1953) ამის შემდეგ რ. ვერნორმა დამატებითი დამუშავების შედეგად შექმნა „საერთაშორისო პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის თეორია“. აღნიშნული თეორია ხსნის ინოვაციების როლს საერთაშორისო ვაჭრობაში და განიხილავს პროდუქციის სასიცოცხლო ციკლს ინტერნაციონალიზაციიდან სტანდარტიზაციამდე. საერთაშორისო პროდუქტის სასიცოცხლო ციკლი მოიცავს შემდეგ 4 ეტაპს: 1. განვითარებული ქვეყნიდან ახალი პროდუქტის ექსპორტირება. 2. ახალი პროდუქტის უცხოური წარმოების დაწყება. 3. უცხოური კონკურენციის დაწყება ახალი პროდუქტის საექსპორტო ბაზრებზე. 4. იმპორტული კონკურენცია შიგა ბაზარზე.

პირველ ეტაპზე ახალი პროდუქციის საწარმოებლად საჭიროა ახალი მოწყობილობები და სამუშაო ძალა, რომელიც იქნება კვალიფიციური. რადგან მოწინავე ტექნოლოგიებია საჭირო ეს საქონელი იმ ქვეყანაში უნდა იქნას წარმოებული, რომელიც არის მაღალშემოსავლიანი და პირველად გაჩნდა ამ პროდუქტზე მოთხოვნა, რადგან აღნიშნული ძვირადღირებულ პროდუქტს წარმოადგენს. შემდეგ ეტაპზე მოცემული საქონელი ექსპორტირდება მსგავსი შემოსავლის ქვეყნებში.

მესამე ეტაპზე კონკურენცია ძლიერდება საექსპორტო ბაზარზე. ამ დროს პროდუქცია უკვე სტანდარტული საწარმოებელი ხდება და აღარ არის საჭირო მაღალი ტექნოლოგიები მის საწარმოებლად. საბოლოო ეტაპზე საქონლის წარმოება გადადის სხვა ქვეყნებში. წარმოების უცხოეთში გადატანის შემდეგ ადგილობრივი წარმოებები იწყებენ ამ საქონლის წარმოებას და იზრდება კონკურენცია. ასევე, კონკურენტი ქვეყანა ცდილობს მოახდინოს იმპორტი მოცემული ქვეყნის ბაზარზე. ასეთ დროს ეცემა იმპორტი და ადგილი აქვს, როგორც წარმოების დაცემას, ასევე, აღნიშნული პროდუქტის მოთხოვნის უზრუნველყოფას იმპორტით.

საერთაშორისო კონკურენციის თეორია:

ამერიკელმა მეცნიერმა და ეკონომისტმა მ.პორტერმა 1991 წელს გამოაქვეყნა საკუთარი ნაშრომი ქვეყნების კონკურენტული უპირატესობა. ამ ნაშრომის მთავარ აზრს წარმოადგენს ის, რომ საერთაშორისო ბაზარზე კონკურენციას უწევენ ერთმანეთს არა ქვეყნები არამედ

კონკრეტული ფირმები. მათი კონკურენციის უპირატეს სტრატეგიას განსაზღვრავს რამდენიმე ფაქტორი. პირველ რიგში ეს არის დარგის ის სტრუქტურა, რომელშიც მოქმედებს კომპანია, მეორე ეს არის ის პოზიცია, რომელსაც ფირმა ფლობს დარგში. მან გამოყო 2 დარგი კონკურენციის თავისებურებიდან გამომდინარე: ა.მრავალეროვნული დარგები.ბ. გლობალური დარგები.

პორტერმა, ასევე, გამოყო ქვეყნის 4 მახასიათებელი. სწორედ ისინი აყალიბებენ გარემოს, რომელშიც ფორმები ეწევიან კონკურენციას და რომელიც განაპირობებს მათ საერთაშორისო წარმატებას. ესენია: ფაქტორული პარამეტრები, შიდა მოთხოვნის პარამეტრები, მონათესავე და დამხმარე დარგები, ფირმების სტრატეგია, სტრუქტურა და კონკურენცია. ამ მაჩვენებლებთან ერთად, ასევე, მნიშვნელოვანია შემთხვევითობისა და მთავრობის როლი. საერთო სურათი რომ შევაჯამოთ მივიღებთ, რომ საერთაშორისო ვაჭრობის დარგში არსებული კვლევები 2 მიმართულებით ვითარდება. პირველი ეს არის ის თეორიები, რომლებიც ავითარებენ ტრადიციულ მიმართულებას საერთაშორისო ვაჭრობაში. ისინი ეფუძნება მოსაზრებას, რომ სამართლიანი რჩება ძირითადი თეორიები, მათში ახალი ელემენტების შეტანის მიუხედავად. XX საუკუნეში მოხდა ცვლილებები გლობალურ ეკონომიკაში, რომლის ახსნაც აქამდე არსებულმა თეორიებმა ვერ შეძლეს. ამან გამოიწვია ახალი თეორიების ჩამოყალიბება, რომლებშიც განხილვის ობიექტს წარმოადგენდა არა ქვეყანა არამედ ფირმა. (თ.შენგელია, 2017)

კონკურენტულ უპირატესობათა რომბი. მ. პორტერი

1.3. საერთაშორისო ვაჭრობის სახელმწიფო რეგულირების ფორმები

გლობალურად ქვეყნები სასაქონლო ბაზარზე სხვადასხვა პოზიციებს იკავებენ. საკუთარი ინტერესების დასაცავად საერთაშორისო ვაჭრობის მონაწილეები აღნიშნულ სფეროში განსაზღვრულ პოლიტიკას ატარებენ, რომელიც შემდგომში აისახება ქვეყნის საგარეო სავაჭრო პოლიტიკაზეც.საგარეო ვაჭრობის პოლიტიკა განისაზღვრება ქვეყნების მიხედვით და არის სახელმწიფოს მიზანმიმართული ზემოქმედება ქვეყნებთან ვაჭრობაზე. მის მთავარ მიზნებს წარმოადგენს : ქვეყნის შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ჩართვის გზებისა და ხარისხის ცვლილება; იმპორტისა და ექსპორტის მოცულობის ცვლილება; საგარეო ვაჭრობის სტრუქტურაში ცვლილებების განხორციელება;ქვეყნის უზრუნველყოფა სხვადასხვა რესურსებით. საგარეო ვაჭრობაში არსებული მიზნები არის როგორც გრძელვადიანი ისე მოკლევადიანი. არსებოს სავაჭრო პოლიტიკის 2 ძირითადი მიმართულება:1. თავისუფალი ვაჭრობა 2.პროტექციონიზმი.

თავისუფალი ვაჭრობისა და მისი პოლიტიკის არსი მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფო არ ერევა ვაჭრობის პოლიტიკაში და რჩება ბაზრის მიღმა მარეგულირებლად, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს რომ იგი საერთოდ არ არის ჩართული ამ მიმართულებაში. ის ძირითადად სხვა ქვეყნებთან აფორმებს ხელშეკრულებებს, ხოლო თავად ეკონომიკურ სუბიექტებს მთლიან თავისუფლებას აძლევს. თავისუფალ ვაჭრობას ქვეყნისათვის დადებითი შედეგები მოაქვს. ამის მიზეზი არის ის რომ ისინი ურთიერთდამოკიდებულები ხდებიან და ამის გამო მცირდება ერთმანეთს შორის მტრული დამოკიდებულება.რეალურად არც ერთი სახელმწიფოს პოლიტიკა არ არის მთლიანად ლიბერალური.

პროტექციონიზმი წარმოადგენს საგარეო ვაჭრობის ისეთ პოლიტიკას, რომელიც ქვეყანაში არსებულ წარმოებას იცავს უცხოური ინვესტიციისგან. იგი გამორიცხავს თავისუფალ მოქმედებას საბაზრო ძალებისას, რადგან თვლის რომ ქვეყნებს აქვთ სხვადასხვა კონკურენტუნარიანობა და განსხვავებული ეკონომიკური პოტენციალი. აქედან

გამომდინარე განვითარებადი ქვეყნებისთვის ნაკლებ მომგებიანია საბაზრო ძალების თავისუფალი მოქმედება. პროტექციონიზმის მომხრენი მიიჩნევენ რომ ლიბერალური პოლიტიკა მოუტანს ზარალს განვითარებად ქვეყნებს და გამოიწვევს მათ ეკონომიკურ უძრაობას. რის შედეგადაც ჩამოყალიბდება არაეფექტური ეკონომიკური სტრუქტურა. იგი ,ასევე, ხელს უწყოს წარმოებაში გარკვეული დარგების განვითარებას. პროტექციონიზმი აგრარულ ქვეყნებში აუცილებელიც კი არის ინდუსტრიალიზაციის გასავითარებლად. ამასთან ერთად იგი ამცირებს უმუშევრობას. მაგრამ მსგავსი პოლიტიკის გრძელვადიანი გამოყენება იწვევს ეკონომიკურ უძრაობას უცხოური კონკურენციის არარსებობის გამო, რის შედეგადაც ხდება ეროვნული წარმოების შესუსტება ახალი ტექნოლოგიების აუთვისებლობისა და ეფექტიანობის ამაღლების სურვილის არ ქონის შედეგად. მაგალითად, ჩინეთის მეათე 5 წლიანი გეგმით, ნახევარგამტარების წარმოებაში 2010 წლისთვის უნდა გამოშვებულიყო 24 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების პროდუქცია. აშშ-მ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში დაადანაშაულა ჩინეთის მთავრობა არაკეთილსინდისიერ პროტექციონიზმში, რადგან ჩინეთის მთავრობა ახორციელებდა ნახევარგამტარების წარმოებიდან 17 %-იანი დღგ-ს 82 %-ის რეინვესტირებას ამავე წარმოებაში. ამით აიძულებდა უცხოელ იმპორტიორებს შეექმნათ ერთობლივი საწარმოები ჩინეთში და მოეხდინათ საკუთარი ტექნოლოგიების ტრანსფერი. თუმცა, ვმო-ში ჩინეთის გაწევრიანების შემდეგ ეს პოლიტიკა შეიცვალა.

პროტექციონისტული პოლიტიკის არგუმენტს წარმოადგენს შრომის შიდა ბაზარზე იაფი უცხოური სამუშაო ძალისაგან განთავისუფლება, რომელთაც სურთ ამ ქვეყანაში მუშაობა. განვითარებადი ქვეყნების არგუმენტი დაბად ხელფასებზე, გარკვეულწილად არ მოქმედებს. განვითარებულ ქვეყნებში მუშების მწარმოებლურობა უფრო დიდია, რადგან თითო მუშაკზე უფრო მეტი წამყვანი ტექნოლოგია და კაპიტალი მოდის. უკიდურეს შემთხვევაში პროტექციონისტული პოლიტიკა ავტარკიის ფორმას იღებს, იმ დროს როცა ქვეყანა არ ახორციელებს შეზღუდვას იმ საქონლის იმპორტზე, რომლის წარმოებაც შეუძლია აღნიშნულ ქვეყანაში. ხოლო ექსპორტი დაშვებულია იმ ზომით, რომ უზრუნველყოს მხოლოდ იმპორტი. ავტარკიული პოლიტიკის მიზანს წარმოადგენს ის, რომ ერების

წარმოებამ უნდა შეცვალოს იმპორტი, მაგრამ ის ფაქტი რომ სახელმწიფო ცვლის ცალკეული ქვეყნის იმპორტულ პროდუქციას ადგილობრივით, არ წარმოადგენს ავტარკიულ პოლიტიკას.

მაგ.: როდესაც ნაკლებგანვითარებული ქვეყნები ცდილობენ საკუთარი მრეწველობის განვითარებას საწყის ეტაპზე და შემოაქვთ შეზღუდვები, ეს არ ნიშნავს ავტარკიას. ავტარკიის პოლიტიკაც წმინდა სახით არ არსებობს. ყოველთვის გვხვდება პროტექციონიზმი გარკვეული დოზით ქვეყნის საგარეო სავაჭრო პოლიტიკაში. ზოგჯერ შესაძლებელია ქვეყანა მონაცვლეობით ატარებდეს თავისუფალი ვაჭრობის და პროტექციონიზმის პოლიტიკას. პროტექციონიზმის პოლიტიკის გატარებისას სახელმწიფო აქტიურად იყენებს საგარეო სავაჭრო პოლიტიკის სხვადასხვა ინსტუმენტებს და კონკრეტული სიტუაციის მიხედვით არჩევს მათ ნაკრებს, კომბინაციას. საგარეო სავაჭრო პოლიტიკის ინსტრუმენტებს შორის არის ტარიფები და არასატარიფო ბარიერები, ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებები. (ნ.ჟვანია, 2006)თანამედროვე საერთაშორისო ვაჭრობის წესები კრძალავენ იმპორტის შეზღუდვას და სამთავრობო სუბსიდიებს, რომლებიც მიმართულია ადგილობრივი წარმოების დასახმარებლად კონკურენციული უპირატესობის და ბაზარზე წილის მოპოვების მიზნით.

ამრიგად, საგარეო სავაჭრო პოლიტიკის გატარებისას იყენებენ სხვადასხვა ხერხებს, რომელთა მეშვეობით სახელმწიფო განსაზღვრავს საქონლისა და მომსახურების, ექსპორტ-იმპორტის ზომას, სტრუქტურასა და ფორმას. მათ შორისაა: 1. საქონლის შემოტანა-გატანის საბაჟო გადასახადი;2. სამთავრობო აკრძალვები და შეზღუდვები ექსპორტ-იმპორტზე, საერთოდ ან საქონლის ცალკეული ჯგუფების მიხედვით; 3.ვალუტის შემოტანა-გატანის წესების შემოღება;4. რკინიგზის ტარიფების დიფერენციაცია და სავაჭრო ნავსადგურების შესახებ საკანონმდებლო აქტების მიღება;5. სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომების დაწესება;6. ადმინისტრაციული ფორმალობები საქონლის, მომსახურებისა და წარმოების ფაქტორთა მიერ საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას; 7. სამთავრობო სუბსიდიები და სხვა პრეფერენციები ექსპორტიორებს ან იმპორტიორებს(პრეფერენცია-შეღავათი). საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციების

სამთავრობო გარანტიები; სავაჭრო ხელშეკრულებები სახელმწიფოებს შორის, სავაჭრო ომების გამოცხადება და ა.შ.

ძირითადად სახელმწიფოები სავაჭრო პოლიტიკის 2 ტიპის ელემენტის კომბინაციებს იყენებენ. დემპინგის მიზანს წარმოადგენს იაფფასიანი პროდუქტით კონკურენტის გაკოტრება. ამის წყარო ხშირად ხდება ქვეყნის მიერ გაცემული საექსპორტო პრემია. დღეისათვის არსებობს დემპინგის ახალი ტიპებიც. სოციალური დემპინგი, ეკოლოგიური დემპინგი ,ფინანსური მომსახურების დემპინგი,

კულტურული დემპინგი.საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის მთავარ ელემენტს შეადგენს საბაჟო გადასახადი, რომელსაც აწესებს სახელმწიფო. იგი შეიძლება იყოს როგორც ფიქსირებული, ასევე, პროცენტული საქონლის ღირებულებასთან მიმართებაში, რაც მეტად განვითარებული ფორმაა. საბაჟო ტარიფების კლასიფიკაცია ხდება შემდეგი კრიტერიუმებით: 1.საქონლის მოძრაობის მიხედვით არსებობს საიმპორტო ბაჟი, საექსპორტო და სატრანზიტო, რაც გამოიყენება როგორც შიდა ფასების დონის დასაცავად, ასევე ეროვნული მწარმოებლების დასაცავადაც. იშვიათად გამოიყენება საექსპორტო ბაჟები, რომლებიც ერთგვარად ზღუდავენ ეროვნული საქონლის გასვლას უცხოურ ბაზარზე. ზოგადად ეს მაშინ ხდება როცა ქვეყნის შიდა ტერიტორიაზე გარკვეული საქონლის დეფიციტია. ხოლო სატრანზიტო ბაჟები ძალიან იშვიათად გამოიყენება. 2.ბაჟის დაწესების მეთოდის 3 ტიპის ბაჟი არსებობს-ადვალორული, სპეციფიკური და კომბინირებული. გლობალურ სავაჭრო პოლიტიკაში გვხვდება ადვალორული ტიპი, რომელიც საქონლის ფასების პროცენტის მიხედვით დგინდება. დიდი მნიშვნელობა ენიჭება საიმპორტო საქონლის ღირებულების შეფასებას. ბევრი სახელმწიფოში მისი გამოყენება საბაჟო მიზნებისთვის საქონლის შეფასების შეთანხმებით რეგულირდება, რომელიც განისაზღვრება გენერალური შეთანხმებით ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ. ადვილი საბაჟო განაკვეთის დონე 6 პროცენტს შეადგენს. ხშირ შემთხვევაში საიმპორტო ბაჟები იზრდება საქონლის დამუშავების დონის მიხედვით. სპეციფიკური ბაჟების დადგენა ხდება აბსოლუტური სიდიდის ერთეულის მიხედვით. ბაჟების დაწესების მეთოდი განსაზღვრავს სხვადასხვა რეზულტატს. გასაგებია, რომ სპეციფიკური ბაჟის დაწესება კონიუნქტურის

გაუარესების პირობებში, უფრო მეტად მომგებიანია სახელმწიფოსათვის და არ არის მომგებიანი იმპორტიორებისათვის. კომბინირებული (შერეული) ბაჟები დგინდება ორი მეთოდით, რომელიც ზემოთ იყო აღწერილი. მაგალითად, აშშ-ში ბაჟი უცხოური წარმოების იმპორტირებულ დანებზე არის 1 ცალზე 5 ცენტი პლიუს 8,4 % მისი ღირებულებიდან. 3. სატარიფო განაკვეთი-ქვეყანა თავად ავტონომიურად აწესებს საბაჟო განაკვეთის მაქსიმალურ დონეს. ეს ხორციელდება საკანონმდებლო აქტების მიერ სხვა ქვეყნებთან შეთანხმების გარეშე. მეორე რიგი ყალიბდება სახელშეკრულებო ტარიფებით. მესამე რიგს წარმოადგენს პრეფერენციული საბაჟო ტარიფები. 4.მიზნობრივი ბაჟები-არსებობს დისკრიმინაციული და პრეფერენციული ტარიფები. პრეფერენციული მინიმალური ტარიფების განაკვეთზე ნაკლებია. ისინი უზრუნველყოფენ ვაჭრობის ხელსაყრელი პირობების შექმნას. დისკრიმინაციული ტარიფები დგას პირველი რიგის სატარიფო განაკვეთებზე მაღლა. 5.ფისკალური, ექსპანსიური და პროტექციონისტული ბაჟები თავის მხრივ არსებობს ეკონომიკური მიზნებიდან გამომდინარე. ფისკალური ფასების მიზანს წარმოადგენს მაქსიმალური ნაკადების შემოსავლის უზრუნველყოფა, რომლებიც შედის სახელმწიფო ხაზინაში. ისინი არ შეიძლება რომ გაიზარდოს უსაზღვროდ, რადგან ქვეყნის შემოსავალი განისაზღვრება როგორც ტარიფი მოცემული საქონლის მოცულობაზე. აქედან გამომდინარე უნდა დაითვალოს ბაჟის ოპტიმალური განაკვეთი. პროტექციონიზმის მთავარ მიზანს ეროვნული წარმოების დაცვა წარმოადგენს. მაღალი საიმპორტო ბაჟები შიდა ბაზარზე მონოპოლიური ფასის დაწესების დროს შეიძლება ქონდეს ექსპანსიური ხასიათი, იმის გამო რომ განაპირობებენ დემპინგსა და კაპიტალის ექსპორტს. (Abbel, 1953) რაც უფრო ძვირი უჯდება მომხმარებელს იმპორტული საქონელი, მით უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევენ ადგილობრივ წარმოებას. ანუ მოგებას მიიღებენ ეროვნული მწარმოებლები, რომელთა მოგებაც გაიზრდება მათი საქონლის გაყიდვის ზრდითა და ტარიფების შემოღების შედეგად გაზრდილი ფასებით. საიმპორტო ბაჟების შემოღება, ერთი მხრივ, ემსახურება შიდა მოხმარების შემცირებას, ხოლო მეორე მხრივ, იცავს სამამულო წარმოებას. დაცვის დონე სხვადასხვაა საქონლის სახეების მიხედვით. ამასთან, ის ყოველთვის მკაფიოდ არ ჩანს, რადგან საქონელი ზოგჯერ ისეთი ნედლეულით და ნახევარფაბრიკატებით

იწარმოება, რომლებზეც დაწესებულია ბაჟები. ამასთან დაკავშირებით, უნდა განვიხილოთ დაცვის ფაქტიური დონის არსი.

ნათელია, რომ რაც მაღალია ტარიფის დონე, მით საიმედოდ იცავს სამამულო წარმოებას იმპორტულისაგან. ტარიფის შემოღება არ ნიშნავს მხოლოდ მოცემული საქონლის დაცვას ქვეყნის ტერიტორიაზე. იგი იცავს ამ საქონელის წარმოებაში დასაქმებულთა შემოსავლებს და, ასევე, ნედლეულის მიმწოდებელ დარგებსაც. ნედლეულზე ტარიფის შემოღება გავლენას ახდენს მისგან წარმოებული საქონლის ფასზე (მაგ: ფოლადისა და რეზინის წარმოებაზე ტარიფის დაწესება გავლენას ახდენს ველოსიპედის წარმოებაზე და ფასზე). ტარიფების გავლება იმპორტიორებზე არა მხოლოდ მწარმოებელთა კეთილდღეობის დონის ცვლილებით გამოიხატება. მას სახელმწიფოსთვის მოაქვს შემოსავალი და ნაწილობრივ ზღუდავს იმპორტს. აღნიშნული შემოსავალში რაოდენობა უტოლდება ტარიფის განაკვეთსა და დაბეგრილი იმპორტის მოცულობის ნამრავლს.სწორედ ეს შემოსავალი წარმოადგენს ქვეყნის მოგებას. აღნიშნული თანხა გამოიყენება სხვადასხვა მიზნით: საშემოსავლო გადასახადების შესამცირებლად, სოციალური პროგრამების განსახორციელებლად და სხვა.ქვეყნის მიერ გარკვეული დროით საქონლის შემოტანაზე შეზღუდვების დაწესებას ეწოდება იმპორტის კონტიგენტირება. ლიცენზია წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ გაცემულ ნებართვას გარკვეულ შეზღუდულ საქონლის ექსპორტსა და იმპორტზე. სახელმწიფო გარანტია საექსპორტო კრედიტების წარდგენისას გულისხმობს იმას რომ სახელმწიფო აიღებს პასუხისმგებლობას იმ შემთხვევაში თუ ექსპორტიორები ვერ მოახერხებენ იმპორტირებული საქონლის ღირებულების გადახდას.

XXI საუკუნეში მნიშვნელოვან როლს საერთაშორისო ვაჭრობაში ასრულებს საერთაშორისო ხელშეკრულებები. პირველი ასეთი ხელშეკრულება დაიდო 1860 წელს საფრანგეთსა და ინგლისს შორის. მსგავსს ხელშეკრულებებში სამი პრინციპი უნდა იყოს დაცული: 1. ფორმალური თანასწორუფლებიანობის პრინციპი, 2. საკომპენსაციო პრინციპი და 3. ეროვნული რეჟიმის პრინციპი. არასატარიფო შეზღუდვების 50 მეთოდი არსებობს საგარეო ვაჭრობაში. თანამედროვე სახელმწიფო ბევრ მათგანს იყენებს. (მაგ: აშშ-ს

სანიტარული სტანდარტები ძროხის ხორცზე; კოლუმბია იყენებდა ე.წ. `შერწყმულ მოთხოვნას~, რითაც ფოლადის იმპორტიორს აიძულებდა შემოტანილი პროდუქციის 1 ტონაზე შეესყიდათ კოლუმბიის წარმოების ფოლადის განსაზღვრული რაოდენობა უფრო ძვირად). არასატარიფო ბარიერებს წარმოადგენს: ქვეყნის მოთხოვნილების უზრუნველყოფა მხოლოდ სამამულო წარმოების საქონელით, საგარეო ვაჭრობაზე სახელმწიფო მონოპოლია, რთული სავალუტო კონტროლი და ა.შ. მსგავსი ბარიერებიდან ზოგიერთი მიზნად ისახავს იმპორტის საერთო შეზღუდვას, ზოგიერთი მათგანი მიმართულია სახელმწიფოების სავაჭრო დისკრიმინაციისაკენ, ზოგი კი სუბსიდიას უწევს ექსპორტს, ან გამოყენება ხდება ეკონომიკური მდგომარეობის განვითარებისათვის. თანამედროვე დროში პროტექციონისტული პოლიტიკის განხორცილება ხდება საგარეო ვაჭრობის რეგულირებისა და კონტროლის რთული სისტემით. აღნიშნული ზომები წინააღმდეგობას უწევენ იმპორტული პროდუქციის მიერ საზღვრების გადმოლახვას. მსგავსი პოლიტიკა ასევე შესაძლებელია მიზნად ისახავდეს ახალგაზრდა დარგების დაცვას, უცხოური კონკურენციისაგან ეროვნული ეკონომიკების დაცვას და სხვა. თანამედროვე პროტექციონისტული საშუალებები მრავალი ფორმით გვხვდება, მაგრამ შესაძლოა მათი დაჯგუფება პრაქტიკული ზემოქმედების მექანიზმის მსგავსების შესაბამისად.

საგულისხმოა ისიც, რომ არასატარიფო და სატარიფო ბარიერები რეგულირდება საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და სხვადასხვა სავაჭრო შეთანხმებებით. იმპორტის შეზღუდვა ძირითადად იწყება საბაჟო საზღვრიდან და გრძელდება საბოლოო მომხმარებლამდე. ისინი ზღუდავენ იმპორტირებული პროდუქტის კონკურენტუნარიანობას ცალკეულ ეტაპზე. იმპორტის რაოდენობრივი შეზღუდვა საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო რეგულირების პირდაპირი ადმინისტრაციული ფორმაა და მისი მიზანია ქვეყნის ეროვნული ინტერესების დაცვა. იგი იძლევა დეფიციტური ვალუტის ეკონომიის, მისი საწარმოო მიზნებით გამოყენების საშუალებას. იმპორტის რაოდენობრივი შეზღუდვა წარმოადგენს საერთაშორისო ვაჭრობის სახელმწიფო რეგულირების პირდაპირ ადმინისტრაციულ ფორმას და მის მიზანი არის სახელმწიფოს ინტერესების დაცვა. იგი საშუალებას იძლევა, რომ მოხდეს დეფიციტური ვალუტის ეკონომია და გამოყენებული

იქნას საწარმოო მიზნით. არასატარიფო ბარიერების ყველაზე გავრცელებულ კვოტად ითვლება საიმპორტო კვოტა. ამ დროს ქვეყნის მიერ ხდება უცხოური პროდუქციის რაოდენობის შემცირება. სახელმწიფო გასცემს ლიცენზიებს შეზღუდული რაოდენობით, რის საფუძველზეც არალიცენზირებული იმპორტის მოძრაობას ზღუდავს. იმ შემთხვევაში როცა ლიცენზირებული იმპორტის მოცულობა ნაკლებია საშინაო ბაზრის მოთხოვნაზე, მაშინ კვოტა ხელს უწყობს იმპორტის მოცულობის შემცირებას და საშინაო ფასს მსოფლიო ფასთან შედარებით ზრდის, რომლის მიხედვითაც საზღვარგარეთ ყიდულობენ საქონელს ლიცენზიის მფლობელები. ამ მხრივ საიმპორტო კვოტა და ტარიფო ერთმანეთის ანალოგიურია. კვოტა წარმოადგენს დროის გარკვეულ მონაკვეთში ექსპორტისა და იმპორტის მოცულობის შემცირებას. თუ კვოტა უტოლდება ნულს მაშინ სახეზე გვაქვს ემბარგო, ანუ იმპორტისა და ექსპორტის აკრძალვა. კვოტა დგინდება იმ ზომით რომ უნდა აღემატებოდეს იმპორტს და ექსპორტს. ასეთ შემთხვევაში კვოტას არ აქვს შემზღუდველი ხასიათი, იგი უბრალოდ გარკვეული საქონლის მოძრაობის მაკონტროლებელია. სახელმწიფო კვოტას უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება მაშინ როცა იმპორტული კონკურენცია მკაცრდება. ამ შემთხვევაში კვოტა იძლევა იმპორტის მოცულობის უცვლელობის გარანტს. კვოტებს აქვთ გარკვეული უპირატესობა, რადგან სახელმწიფოს ეძლევა მოქნილი ეკონომიკის გატარების შანსი, მაშინ როდესაც ტარიფის განაკვეთის გაზრდა რეგლამენტირდება საერთაშორისო ორმხრივი ხელშეკრულებით. თუ იმპორტულ პროდუქციასთან კონკურენციაში მყოფი დარგები მაღალი დონის დაცვას საჭიროებენ და მთავრობას არ ძალუძს დამოუკიდებლად გაზარდოს ტარიფი, აქ მარეგულირებლად გვევლინება კვოტა. თითოეული ქვეყანაში არის ისეთი ორგანოები, რომლებსაც ევალებათ საიმპორტო ლიცენზიების განაწილება და რომლებიც გამოიყენება ეკონომიკური პოლიტიკის გატარების მიზნით. დღეისათვის პროტექციონიზმში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სავალუტო და საფინანსო ღონისძიებებს. საქონლის წარმოების სახელმწიფო სუბსიდირება ამაღლებს საგარეო ბაზარზე ეროვნული პროდუქტის კონკურენტუნარიანობას და ამავდროულად იცავს შიდა ბაზარზე არსებულ ადგილობრივ წარმოებას უცხოური კონკურენციისაგან. ანალოგიური მიზნებისთვის გამოიყენება საგადასახადო და საკრედიტო სისტემა. ადგილობრივი წარმოების სუბსიდირება საბაჟო

ტარიფებთან ერთად ემსახურება აღნიშნულ მიზანს, თუმცა მათი ეკონომიკური მომედება დიდად განსხვავებულია: ბაჟი იწვევს საქონლის ფასის ამაღლებას ადგილობრივი წარმოების ფასამდე და ამის შედეგად იმპორტულ პროდუქციას არაკონკურენტულს ხდის. სუბსიდირება კი ამაღლებს ეროვნული პროდუქციის კონკურენტუნარიანობას. სუბსიდირება რამდენიმე გზით არის შესაძლებელი. ეს გზებია პირდაპირი და ფარული, რომელიც გულისხმობს გადასახადებისაგან გათავისუფლებას, მინიმალური შესასყიდი ფასების რეჟიმის განხორციელებას, შეღავათიანი კრედიტებს და სხვა.მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციების მიერ განიხილება როგორც სუბსიდირების ასევე საფინანსო შეღავათების საკითხიც. ქვეყანამ უნდა ამცნოს საკუთარი სუბსიდიის ზომა და თუ იგი მიაყენებს ზიანს ქვეყნის ინტერესს, უნდა მოხდეს მისი შეზღუდვა. პროტექციონისტული ღონისძიებებიდან გამოიყოფა საიმპორტო დეპოზიტი, როცა იმპორტიორს პროდუქციის შეტანამდე აღნიშნული ქვეყნის ბანკში შეაქვს თანხა და ამის შემდეგ ეძლევა ნებართვა იმპორტის განხორციელებისა. ამის გამო იმპორტიორი აძვირებს საკუთარ საქონელს, იმისთვის რომ აინაზღაუროს გაზრდილი ფულადი დანახარჯი. საიმპორტო დეპოზიტი წარმოადგენს ორმაგი ქმედების პროტექციონისტულ ბარიერს, რადგან მისი გამოყენებით ქვეყნის შიდა ბაზარზე იზღუდება ერთობლივი გადახდისუნარიანი მოთხოვნა. დეპოზიტების გაყინვა ბანკში 6 თვით, გვაძლევს გადახდისუნარიანი მოთხოვნის შემცირებას. არასატარიფო ბარიერებს წარმოადენს სახელმწიფო შესყიდვების პრიორიტეტული განვითარების სისტემა. ეკონომიკის სტრუქტურა ზემოქმედებს ქვეყნის ფინანსური ბერკეტების დახმარებით, ასევე სახალხო მეურნეობის დარგების განვითარებითა და საქონლის ექსპორტითა და იმპორტით. ასეთ დროს ქვეყანა გვევლინება როგორც იმპროტული, ასევე, ადგილობრივი საქონლის მყიდველის სახით. სავალუტო რეგულირების მეთოდით შესაძლებელია ექსპორტსა და იმპორტზე ზემოქმედების მოხდენა. სავალუტო რეგულირების მეთოდებს შეადგენს: ვალუტის კურსის ცვლილება, სავალუტო შეზღუდვა და მრავალფეროვანი სავალუტო კურსების სისტემის გამოყენება რაც გულისხმობს, რომ სახელმწიფო ორგანოები აწესებენ საკუთარ ეროვნულ ვალუტაზე რამდენიმე ოფიციალურ კურსს, რომელნიც დიფერენცირებულნი არიან ვაჭრობის იმპორტის სტრუქტურის და გეოგრაფიული მიმართულებების მიხედვით. საგადასახადო შეღავათებს არასატარიფო ბარიერებს შორის

მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ, რომლებიც აქტიურად გამოიყენება ექსპორტირებული საქონლის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის. საშინაო გადასახადების მეთოდები თავად საგადასახადო სისტემას აქცევენ ერთგვარ ბარიერად, რომელიც იწვევს საბაჟო სისტემის გაძლიერებას. მაღალი დაბეგვრის დონე მიუთითებს იმაზე, რომ სახელმწიფოს ხელში ექცევა დიდი თანხა საგადასახადო შემოსავლებიდან, რომელიც შემდგომში ეკონომიკურ სექტორებში გამოიყენება, მათ შორის საერთაშორისო ვაჭრობაში. გადასახადები თავისი ეკონომიკური ეფექტით საბაჟო გადასახადების ანალოგიურია, რადგან ის აფერხებს და აძვირებს იმპორტს, თუმცა ადგილობრივი გადასახადების დაწესება ნაკლებად არის დამოკიდებული სხვადასხვა ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებზე. აგრეთვე, თუ ბაჟით მხოლოდ იმპორტირებული საქონელი იბეგრება, გადასახადით იბეგრება ადგილობრივი და იმპორტირებული პროდუქცია. ბაჟის ამოღება ხორციელდება იმპორტის ღირებულებიდან, ხოლო საშინაო გადასახადი დამოკიდებულია საბითუმო ფასზე. აქედან გამომდინარე საგადასახადო დისკრიმინაცია არის შედეგი გადასახადების გამოთვლის განსხვავებული ბაზის არსებობისა. სასაზღვრო გადასახადები მოიცავს ისეთ ირიბ გადასახადებს, როგორიც არის აქციზები, დღგ, ბრუნვის გადასახადი და სხვა. ხოლო პირდაპირი გადასახადები არ შედის სასაზღვრო მოსაკრებელში. იმპორტულ საქონელს საზღვარზევე რამდენიმე გადასახადი ერთდროულად ხვდება, მათ შორის არის საფრახტო, სტატისტიკური, საქონლის საბაჟო გასინჯვა და სხვა. სააქციზო მოსაკრებელი გადასახადებს შორის დიდ როლს თამაშობს. აღნიშნულით იბეგრება საქონელი გაყიდვის პროცესში. აქციზი პროტექციონიზმის ფორმას წარმოადგენს, რადგან იწვევს იმპორტის ფასის ზრდას, ნაკლებად კონკურენტულს ხდის მას და ამცირებს იმპორტის ნაკადს ქვეყანაში. არასატარიფო ბარიერების ერთ-ერთი სახეობაა ტექნიკური ბარიერი. მის ფუნქციაში შედის იმპორტის მოძრაობის გზაზე გარკვეული დაბრკოლების შექმნა, იმ მიზეზით რომ უცხოური საქონელი ადგილობრივ მოთხოვნებს, სტანდარტებს და სხვა პირობებს არ შეესაბამება. სწორედ აღნიშნულ ბარიერები უკეტავენ გზას იმპორტირებულ საქონელს ადგილობრივ ბაზარზე, ან ითხოვენ მის დამუშავებას, ანუ ართულებენ მის მოხმარებას იმპორტიორ ქვეყანაში. უცხოური პროდუქტი მოძრაობისას გზაზე მრავალ დაბრკოლებას აწყდება. ასეთი დაბრკოლებებია ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებს შორის განსხვავება,

ეროვნული სტანდარტები, ასევე, ხელს უშლის ადგილობრივი პროდუქციის გატანასაც, რითაც ხდება საგარეო ბაზრების დაკარგვა. ამ მიზეზის გამო რომელიმე გამოშვების მოდიფიკაცია კონკრეტული ბაზრისათვის საბაზისო მოდელის მეშვეობით ხდება. ბოლო პერიოდში იკლებს ეროვნული სტანდარტიზაციების სავაჭრო და ეკონომიკური მნიშვნელობა. პროდუქციის კონკურენტუნარიანობა განიმარტება, როგორც საქონლის შესაბამისობა დანიშნულების ადგილის ბაზარზე დადგენილ მოთხოვნებისა და წესების ხარისხიანობის მიხედვით. კონკრეტულად, ჰიგიენური ნორმებით, ტექნიკური უსაფრთხოების წესებით და ა.შ მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში არის შექმნილი ორგანიზაციები, რომლებიც პასუხისმგებლობას იღებენ პროდუქციის ხარისხის ტესტირებაზე, თუმცა მსგავსი ორგანიზაციები ქმნიან კოლექტიურ არასატარიფო ბარიერებს საერთაშორისო ვაჭრობაში. პროდუქციის ხარისხის სერტიფიცირება ემსახურება მომხმარებლების დაცვას საერთაშორისო ბაზარზე გამოტანილი უხარისხო პროდუქციისაგან.ბოლო პერიოდში დიდ ყურადღებას იქცევს გარემოს დაცვითი ღონისძიებების გატარების დანერგვა, თუმცა ისინიც არასატარიფო შეზღუდვას წარმოადგენენ. ჰაერისა და წყლის დაბინძურებამ დღეისათვის ისეთ ზომებს მიაღწია, რომ იგი საფრთხეს უქმნის ადამიანების ჯანმრთელობას და მომავალში შესაძლოა გახდეს კვლავწარმოებითი პროცესის შემაფერხებელი მიზეზი, რაც გამოიწვევს წარმოების ფასებისა და ხარჯების გაზრდას. ამის გამო საჭირო გახდა ფარული და პირდაპირი პროტექციონისტული ბარიერების შექმნა. ამის მიზნით საქონლის ხარისხობრივ მოთხოვნასთან დაკავშირებით იზრდება დამცავი ზომების გამოყენება, რაც იწვევს იმპორტის შემცირებას. მრავალ სახელმწიფოში მოქმედებს სპეციალური ნორმები, რომელიც სხვადასხვა სანიტარული და ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ წესდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტისას, მედიკამენტების, სასურსათო პროდუქტის, კოსმეტიკური ნაწარმის და სხვა საქონლის შემოტანის დროს. ოფიციალურად მოცემული ნორმები არ უკავშირდება სავაჭრო პოლიტიკას თუმცა თუ აღნიშნული ნორმები შერჩევით ხასიათს ატარებს მაშინ ისინი სავაჭრო პოლიტიკის მიზანს ემსახურება. სანიტარული და ჰიგიენური ნორმები ქვეყნების მიხედვით განსხვავდება. ზოგიერთ ქვეყანაში სანიტარული სამსახური ექსპორტიორისაგან მოითხოვს საქონლის შემადგენლობის აღწერას, ხოლო სადაც

არ ხდება სერთიფიკატის აღიარება, იქ თავად ახდენენ ხანგრძლივ ინსპექციას. აღნიშნული პროცესი კი ართულებს და დროში ახანგრძლივებს იმპორტული საქონლის შეღწევას ამა თუ იმ ქვეყნის შიდა ბაზარზე.შეფუთვა და მარკირება სავაჭრო პოლიტიკასთან ახლოს არის, რადგან შეფუთვა იცავს საქონელს გარკვეული სახის ტექნიკური დაზიანებისგან და პროდუქციას აძლევს დამატებით სამომხმარებლო ხარისხს. ხოლო მარკირება მომხმარებელს აწვდის ინფორმაციას საქონლის შენახვისა და გამოყენების წესებთან დაკავშირებით. არსებობს საქონლის ფართო წრე, რომლისთვისაც შეფუთვას აქვს განსხვავებული ფუნქცია. იგი პროდუქტს აძლევს განსაზღვრულ ფერს, ფორმას და წონას. ასევე ასრულებს სარეკლამო ფუნქციას და ხშირად კანონით ხდება დაცვა, როგორც მწარმოებელი ფირმის საკუთრება. იმ ვითარებაში, როცა სახელმწიფოში არის მოთხოვნა საქონლის შეფუთვასა და მარკირებაზე, ხდება მათი სავაჭრო პოლიტიკური ფუნქციის გამოვლინება. ექსპორტიორების მოთხოვნის შესრულება ართულებს საქონლის წარმოების ტექნოლოგიას, იწვევს საწარმოო დანახარჯების ზრდას და საბოლოოდ ზრდის ფასსაც. აქედან გამომდინარე მარკირება და შეფუთვა ერთგვარი ეროვნული წარმოების დაცვის ფორმაა კონკურენციულ გარემოში. არასატარიფო ბარიერებს სატარიფო ბარიერებთან ერთად საერთაშორისო ვაჭრობაში მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვთ. თუმცა საერთაშორისო ორგანიზაციები რომლებიც საერთაშორისო ვაჭრობის მიმართულებით მუშაობენ, ხელს უწყობენ მაქსიმალურად ხელსაყრელი რეჟიმის შექმნას. აქ საუბარია ანტიდემპინგური ბაჟების გამოყენებაზე, ვაჭრობის ლიბერალურ პოლიტიკაზე, არასატარიფო და სატარიფო ბარიერების მოხსნაზე, ინტელექტუალური საკუთრების დაცვაზე, ქვეყნის საგადასახდელო ბალანსის წონასწორობაზე, სავალუტო კურსის რეგულირებაზე და სხვა.

ამრიგად, არასატარიფო ბარიერები სამ ჯგუფად შეიძლება დავყოთ:1. ღონისძიებები მიმართულია ეროვნული წარმოების განსაზღვრული დარგის პირდაპირი შეზღუდვისკენ: კვოტები (კონტინგენტირება), ლიცენზიები, საკომპენსაციო მოსაკრებლები, საიმპორტო დეპოზიტები, ანტიდემპინგური და საკომპენსაციო ბაჟები და ა.შ.2. ადმინისტრაციული ხასიათის ღონისძიებები, რომლის მიზანიც არ არის უშუალოდ იმპორტის მოცულობის შეზღუდვა, თუმცა იწვევს ამ შედეგს: საბაჟო ფორმალობები, ტექნიკური და სანიტარული

სტანდარტები და ფორმები, შეფუთვასთან და მარკირებასთან დაკავშირებული მოთხოვნები და ა.შ. 3. სხვა ღონისძიებები, რომლებიც უშუალოდ არ არის მიმართული საგარეო ვაჭრობის მოცულობის შემცირებისკენ, მაგრამ საბოლოო ჯამში ამ შედეგს გვაძლევენ(სავალუტო კურსის მექანიზმი, საგადასახადო მექანიზმი). (ლინდერტი, 2001)

2. საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები სტრატეგიულ ქვეყნებთან

2.1. საქართველო - ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობა

ევროპის კავშირი იგივე ევროკავშირი წარმოადგენს ევროპის ქვეყნების ეკონომიკურ და პოლიტიკურ გაერთიანებას. აღნიშნულ კავშირს 1993 წლამდე ერქვა ევროპული თანამეგობრობა. მისი წევრი ქვეყანა 28 სახელმწიფოს შეადგენს. მასში მოქმედებს ერთგვარი შიდა ბაზარი, რომელიც რეგულირდება მასში შემავალი ქვეყნების კანონების სისტემით. კავშირის მიზანს წარმოადგენს საქონლის, ადამიანების, კაპიტალისა და სერვისის თავისუფალი გადაადგილება არსებულ შიდა ბაზარზე.

ევროკავშირი დღეისათვის წარმოადგენს მსოფლიო დონის განვითარებულ ინტეგრაციულ რეგიონს არსებული სავაჭრო, ეკონომიკური და პოლიტიკური პოტენციალის გათვალისწინებით. სწორედ ამის საფუძველზე საქართველოსთვის პრიორიტეტულია საკუთარი საგარეო ვაჭრობის განვითარებისათვის ევროკავშირში ინტეგრაცია. სახელმწიფოს სავაჭრო-ეკონომიკური, ასევე, ეროვნული ინტერესები უბიძგებს მოკლევადიან დროში ინტეგრირდეს ევროკავშირში. ერთ-ერთ მთავარ წინაპირობას საქართველოს სტრატეგიული განვითარებისთვის წარმოადგენს ფინანსურ-ტექნიკური და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება ევროკავშირთან, აგრეთვე, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ევროპის ქვეყნებიდან და ექსპორტის გაზრდა, რაც გამოიწვევს სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას და ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას.

1992 წლიდან საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ იწყება საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობები. აღნიშნული ურთიერთობა თანდათანობით გაიზარდა და გაძლიერდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობა. 2003 წლიდან ორმხრივმა ურთიერთობამ მიიღო მეტად ინტენსიური სახე. აღნიშნულ პერიოდში ქვეყანამ აქტიურად დაიწყო სხვადასხვა პოლიტიკური და

ეკონომიკური რეფორმების გატარება. 2014 წლის 27 ივნისს ხელი მოეწერა ასოცირების შესახებ შეთანხმებას და საქართველო-ევროკავშირს შორის დაიწყო ურთიერთობის ახალი ეტაპი. ამის შემდეგ სახელმწიფო აქტიურად განაგრძობს ინტეგრაციის პროცესს და მის შესაბამის სახელმწიფოებრივ განვითარებას. სწორედ ეს შეთანხმება ადგენს საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის სფეროებს, რომლებიც საქართველომ ევროკავშირის დახმარებით უნდა გაატაროს. ამ რეფორმებს შორის არის ვაჭრობის სფერო, რომელიც საქართველოსთვის მეტად მნიშვნელოვანია. საქართველოსთვის დიდი მნიშვნელობა აქვს განახორციელოს საგარეო პოლიტიკის მთავარი ამოცანა, რომელიც ითვალისწინებს ევროპულ ქვეყნებთან მჭიდრო ურთიერთობის ჩამოყალიბებას და ურთიერთსასარგებლო დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ისეთ სფეროებში ორმხრივი ურთიერთობის ჩამოყალიბებას, როგორებიც არის კულტურული, ეკონომიკური, სოციალური და ჰუმანიტარული ურთიერთობები. ამასთან ერთად, ევროკავშირის ქვეყნებთან თანამშრომლობას საგრძნობი მნიშვნელობა ენიჭება რიგი მიზეზების გამო. მათ შორის არის საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის მხარდაჭერის კუთხით, საქართველოს ეკონომიკური და დემოკრატიული განვითარების მიზნით, აგრეთვე, ქვეყნის დეოკუპაციის უზრუნველყოფა მშვიდობიანი გზებით და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივების მხარდასაჭერად.

(DCFTA) ასოცირების შესახებ შეთანხმება წარმოადგენს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ჩამოყალიბების შეთანხმებას. სწორედ აღნიშნული გულისხმობს საქართველოს ეტაპობრივ ინტეგრაციას ევროკავშირის შიდა ბაზარზე. იგი ქმნის ერთგვარ მექანიზმს სახელმწიფოს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის თვალსაზრისით და ქვეყნისთვის ხსნის ევროპის ქვეყნების შიდა ბაზარს.

სხვა თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებიდან განსხვავებით DCFTA გულისხმობს ვაჭრობის ლიბერალიზაციას, როგორც საქონლით, აგრეთვე, მომსახურებით ვაჭრობის შემთხვევაშიც. ამასთან ერთად იგი ითვალისწინებს ვაჭრობასთან დაკავშირებულ ფართო სპექტრის საკითხებს და მიზნად ისახავს საქართველოს ვაჭრობის პოლიტიკისა და კანონმდებლობის ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან. შეთანხმება

ხელს უწყობს საქართველოს მიიღოს ევროკავშირის შიდა ბაზრის ოთხი თავისუფლება: კაპიტალის, მომსახურებისა და საქონლის თავისუფალი გადაადგილება და მოსახლეობის თავისუფალი გადაადგილება ევროკავშირის ტერიტორიაზე, რაც სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციით ხორციელდება. (http://mfa.gov.ge/, 2019)

საქართველო-ევროკავშირის ქვეყნები 2009-2020 წლის ექსპორტისა და იმპორტის მიხედვით

(ათასი აშშ დოლარი)

წელი	**ექსპორტი**	**იმპორტი**
2009	237,552.5	1,330,101.6
2010	309,189.5	1,466,578.8
2011	424,448.1	2,050,757.7
2012	352,950.4	2,428,744.9
2013	607,204.0	2,266,083.7
2014	624,201.4	2,371,979.7
2015	644,729.9	2,080,887.5
2016	565,653.3	2,214,960.1
2017	655,407.1	2,200,668.8
2018	730,688.9	2,506,141.2
2019	819,343.5	2,331,500.3
2020(იანვარი-მაისი)	275,097.6	721,208.0

2020 წელის პირველი კვარტლის მონაცემებით საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა შეადგენს 4 205.8 მლნ. აშშ დოლარს. აქედან საქონლის ექსპორტი შეადგენს 1 236.5 მლნ.აშშ დოლარს ხოლო იმპორტი 2 969.2 მლნ.აშშ დოლარს. საგარეო სავაჭრო სალდო ბოლო წლების

განმავლობაში უარყოფითი ტენდენციით ხასიათდება. 2020 წლის იანვარი-მასის მონაცემებით ეს ციფრი -1 732.6 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს. წინაწარ უცნობია თუ რა რაოდენობას მიაღწევს აღნიშნული ციფრები წლის დასასრულს, მაგრამ მოსალოდნელია, რომ მონაცემები Covid-19 პანდემიის გამო წინა წელთან შედარებით შემცირებული იქნას.

წინამდებარე ცხრილში ასახულია საქსტატის მონაცემები ევროკავშირის ქვეყნების მიმართებაში განხორციელებული ექსპორტისა და იმპორტის მოცულობისა წლების მიხედვით. უახლოესი მონაცემებით 2020 წლის იანვარ-მაისში ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტირებული საქონლის მოცულობის ღირებულებამ 275,097.6 მლნ.აშშ დოლარს შეადგენს. იმპორტირებული საქონლისა კი 721,208.0 მლნ. აშშ დოლარს. საგულისხმოა, რომ ეს ციფრები მხოლოდ წლის პირველი კვარტალს მოიცავს. წინა წლების მონაცემებით ევროკავშირის ქვეყნებში გატანილი პროდუქციის ღირებულება წლიდან წლამდე იზრდებოდა. 2019 წლის მონაცემებით საქართველოდან ევროკავშირის ქვეყნებში განხორციელდა 819,343.5 მლნ.აშშ დოლარი ღირებულების პროდუქციის ექსპორტირება , 2018 წელს- 730,688.9 მლნ.აშშ დოლარის, 2017 წელს- 655,407.1 მლნ.აშშ დოლარის. 2014 წლის ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ საქართველოს ექსპორტირებული საქონლის მოცულობა ევროკავშირის მიმართულებით ზრდის ტენდენციით ხასიათდება, რაც გულისხმობს იმას, რომ საქართველოსა და ევროაკვშირს შორის დაწყებულმა ახალმა ეტაპმა დადებითი შედეგი მოიტანა სახელმწიფოსთვის. (geostat.ge, 2020) რაც შეეხება იმპორტირებულ პროდუქციას ევროკავშირის ქვეყნებიდან მისი ღირებულება შემცირდა ბოლო წლებში. 2019 წლის მონაცემებით 2,331,500.3 მლნ.აშშ დოლარის პროდუქციის იმპორტი განხორციელდა, 2018 წელს ეს მაჩვენებელი 2,506,141.2 მლნ.აშშ დოლარი იყო.

აღსანიშნავია, რომ ქვეყნის ჯგუფების მიხედვით 2020 წლის იანვარი-მაისის მონაცემებით ევროკავშირის ქვეყნების წილი ექსპროტში მესამე ადგილს 22,3%-ით იკავებენ, მეორე ადგილზეა დანარჩენი ქვეყნები 34,4 პროცენტით ხოლო დსთ-ს ქვეყნები 43,3%-ით იკავებს პირველ ადგილს.

2.2. საქართველო-ჩინეთის სავაჭრო ურთიერთობები

თანამედროვე პერიოდში ჩინეთსა და საქართველოს შორის მეტად გაღრმავდა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები და უფრო მასშტაბური სახე მიიღო. ჩინეთი წარმოადგენს ერთ-ერთ პირველ ქვეყანას, რომელმაც აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა და დაამყარა მასთან დიპლომატიური ურთიერთობა. აღნიშნულმა ბიძგი მისცა მხარეებს შორის ისტორიულად არსებული სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას.

დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შედეგად ორ სახელმწიფოს შორის გაფორმდა მრავალი ხელშეკრულება. ესენია: შეთანხმება ორმხრივი ვაჭრობის, ინვესტიციური შეთანხმების ორმხრივი დაცვა და სხვა. ჩინეთი საქართველოსათვის ამ ეტაპზე წარმოადგენს, როგორც სავაჭრო, ასევე, საინვესტიციო პარტნიორს და იგი იმ 5 ქვეყნიდან ერთ-ერთია, რომელიც აქტიურად და მჭიდროდ თანამშრომლობს ეკონომიკური და სავაჭრო მიმართულებით საქართველოსთან. ჩინეთსა და საქართველოს შორის 2017 წლის 13 მაისს ხელი მოეწერა თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებას. ამის შედეგად სახელმწიფოს გაეხსნა 1,37 მლრდ მომხმარებლის ბაზარი. აღნიშნულ დოკუმენტს ხელი მოაწერა საქართველოს სახელით ქვეყნის ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, ხოლო ჩინეთის მხრიდან ქვეყნის კომერციის მინისტრმა.ჩინეთის სახელმწიფოსა და საქართველოს შორის ეკონომიკურ და ინდუსტრიულ სტრუქტურაში არის მკვეთრი განსხვავებები, აგრეთვე, დიდია განსხვავება წარმოების მოცულობასა და მის მრავალფეროვნებაში. ამის მიუხედავად ორივე ქვეყანაზე თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება აისახა დადებითად. შეთანხმების შედეგად მოსახლეობის სოციალური კეთილდღეობა და ექსპორტის მოცულობა გაიზარდა. თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებამ ორივე მხარეს მოუტანა მნიშვნელოვანი სავაჭრო-ეკონომიკური სარგებელი და გააღრმავა არსებული ურთიერთობები.

საქართველო არის რეგიონის მასშტაბით პირველი ქვეყანა, რომელმაც ჩინეთთან გააფორმა თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება. აღნიშნული ხელს უწყობს ვაჭრობის ახალი პერსპექტივების გამოყენებას და მის განმტკიცებას ორ ქვეყანას შორის, ასევე

ეკონომიკური ზრდის წინაპირობას წარმოადგენს. შეთანხმების შედეგად გაიზარდა ბაზრის ეფექტიანობის დონე და საქართველოს მიეცა საშუალება სრულყოფილად გამოიყენოს ის შეფარდებითი უპირატესობა, რომელიც გარკვეული საქონლის წარმოებაში გააჩნია.

საქართველო-ჩინეთი 2009-2020 წლის ექსპორტისა და იმპროტის მიხედვით

(ათასი აშშ დოლარი)

წელი	**ექსპორტი**	**იმპორტი**
2009	5,965.5	174,571.3
2010	27,050.4	335,160.0
2011	28,970.0	527,701.1
2012	25,674.7	614,416.7
2013	33,956.0	612,239.6
2014	90,393.3	733,467.5
2015	125,803.2	587,298.9
2016	174,329.7	547,509.6
2017	201,701.7	732,641.7
2018	198,034.9	833,894.0
2019	227,629.5	858,566.3
2020 (იანვარი-მაისი)	168,431.0	274,735.4

საქსტატის მონაცემებმა აჩვენა, რომ საქართველოს მიერ ექსპორტირებულმა საქონლის ღირებულებამ 2020 წლის იანვარი-მაისის მონაცემებით შეადგინა 168,431.0 მლნ.აშშ დოლარი ხოლო იმპორტირებულისამ 274,735.4 მლნ.აშშ დოლარი. ეს მაჩვენებლები 2019 წელს იყო შესაბამისად 227,629.5 მლნ.აშშ დოლარი და 858,566.3 მლნ.აშშ დოლარი. 2018 წელს

ექსპორტი-198,034.9 მლნ აშშ დოლარი, იმპორტი 833,894.0 მლნ.აშშ დოლარი. აღსანიშნავია, რომ 2017 წელს სანამ თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი ამოქმედდებოდა ჩინეთთან მოცემული მაჩვენებლები იყო 201,701.7 მლნ.აშშ დოლარი ექსპორტის შემთხვევაში, ხოლო 732,641.7 მლნ.აშშ დოლარი იმპროტის შემთხვევაში. 2020 წლის იანვარი-მაისი მონაცემებით უმსხვილეს საექსპორტო პარტნიორებს შორის ჩინეთი პირველ ადგილს იკავებს 13.6 პროცენტით, ხოლო საიმპორტო პარტნიორებს შორის იგი მესამე ადგილზეა. (geostat.ge, 2020)

საქართველოდან ჩინეთში ექსპორტირებული

უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები

	2019 წელი (იანვარი-მაისი) ათასი აშშ დოლარი	ტონა	**2020 წელი (იანვარი-მაისი)** ათასი აშშ დოლარი	ტონა
ექსპორტი – სულ	**48 948.6**		**168 431.0**	
მათ შორის:				
სპილენძის მადნები	29 346.8	18 812.6	131 118.7	88 528.1
ძვირფასი ლითონების მადნები	-	-	20 753.3	9 007.9
ყურძნის ნატურალური ღვინოები	7 521.5	2 169.0	5 014.1	1 294.9
ხელსაწყოები და მოწყობილობები მედიცინაში ან ვეტერინარიაში გამოსაყენებელი	6 489.3	31.3	2 717.6	8.6
კოჭა, ზაფრანა, ურცი, დაფნის ფოთოლი, კარი და სხვა სანელებლები	1 283.1	722.0	2 305.1	982.3
დანარჩენი საქონელი – სულ	4 307.8		6 522.3	

უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფების მიხედვით საქართველოდან ჩინეთში იმპორტირებული საქონლის ოდენობით 2020 წლის იანვარი-მაისის მონაცემებით ლიდერობს სპილენძის მადნების ღირებულება და რაოდენობა. მისი მოცულობა შეადგენს 88 528.1 ტონას ხოლო ღირებულება 131 118.7 მლნ. აშშ დოლარი, რაც წინა წლის მონაცემებთან შედარებით გაზრდილია. მეორე ადგილზეა ძვირფასი ლითონის მადნები, რისი ექსპორტიც წინა წელს არ ხორციელდებოდა. მოცულობა შეადგენს 9 007.9 ტონას ხოლო ღირებულება 20 753.3 მლნ. აშშ დოლარი. მესამე ადგილს იკავებს ყურძნის ნატურალური ღვინოები. მისი ექსპორტის რაოდენობა წინა წელთან შედარებით შემცირებულია და შეადგენს 1 294.9 ტონას 5 014.1 მლნ. აშშ დოლარის ღირებულებით.

2.3. საქართველოს სავაჭრო პოლიტიკა დსთ-ს ქვეყნებთან

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, „დსთ“ წარმოადგენს საერთაშორისო ორგანიზაციას და შედგება ცხრა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებისაგან. ესენია: აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა, თურქმენეთი, რუსეთი, სომხეთი, ტაჯიკეთი, ყაზახეთი, უზბეკეთი და ყირგიზეთი. 2005 წელს თურქმენეთმა თქვა უარი სრულუფლებიან წევრობაზე და იგი მხოლოდ ასოცირებული წევრია.

საქართველო დსთ-ს წევრი გახდა 1993 წლის 24 დეკემბერს. აღნიშნული განხორციელდა საქართველოს მძიმე პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობის ფონზე, რამაც აიძულა ქვეყანა ეღიარებინა თანამეგობრობის უმაღლესი წარმომადგენლების ისეთი მოთხოვნები, რომლებიც ეროვნული ინტერესების წინააღმდეგობაში მოდიოდა. სახელმწიფომ 2009 წლის 18 აგვისტოს დატოვა გაერთიანების წევრობა. ამის მიუხედავად საქართველოს კვლავ აკავშირებს ეკონომიკური და სავაჭრო მნიშვნელობის ურთიერთობები დსთ-ში შემავალ ქვეყნებთან.

საქართველოს აქვს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი დსთ-ს ქვეყნებთან, ასევე, თურქეთთან. დსთ-ს ქვეყნებთან გარდა რუსეთის ფედერაციისა ,სავაჭრო რეჟიმი რეგულირდება 1994 წელს „თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ“ დსთ-ს

მრავალმხრივი შეთანხმებით, აგრეთვე ორმხრივ ფორმატში იმ ქვეყნებთან, რომლებთანაც საქართველოს მსგავსი შეთანხმება აქვს გაფორმებული. (https://ka.wikipedia.org, 2020)

რუსეთის მიმართებაში საქართველოს მიზანს წარმოადგენს დაძაბული ურთიერთობის დეესკალაცია, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ურღვეობის პატივისცემა და ურთიერთობის ნორმალიზაცია. რაც უნდა გახდეს დეოკუპაციის საწინდარი.

საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობების ფორმატს კვლავ ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები არეგულირებს. აღნიშნული ეხება სტაბილურობის, უსაფრთხოების, იძულებით გადაადგილებულ პირთა უსაფრთხო დაბრუნების საკითხებს. საქართველოსა და რუსეთს შორის დაძაბული ურთიერთობის დეესკალაციისთვის საქართველომ შეიძლება გამოიყენოს არაფორმალური პირდაპირი დიალოგის ფორმატი, რომლის დროსაც განიხილება ის ეკონომიკური, სავაჭრო და პრაქტიკული საკითხები, რომლებიც ჟენევის ხელშეკრულების მიღმა დარჩა. საქართველო ევროინტეგრაციის ალტერნატივად არ განიხილავს საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობის დეესკალაციას. ორივე პროცესი პარალელურ რეჟიმში წარიმართება .

საქართველოს ორმხრივი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს რუსეთის ფედერაციასთან, აზერბაიჯანთან, სომხეთთან, უკრაინასთან, მოლდოვასთან, ყაზახეთთან, უზბეკეთთან, თურქმენეთთან, თურქეთთან. (http://mfa.gov.ge/, 2019) დსთ-ს ქვეყნებთან ვაჭრობისას საქართველო იყენებს დსთ-ს მეთაურთა საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის წესს“ რომელიც 2000 წლის 30 ნოემბერს შემუშავდა. საქართველო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს რეგიონის ქვეყნებთან ურთიერთობას და სტრატეგიულ პარტნიორობას. ქვეყანა მჭიდროდ თანამშრომლობს აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან, როგორც სავაჭრო, ასევე პოლიტიკური, სატრანსპორტო, ენერგეტიკული და სხვა სფეროების მიმართულებით. ურთიერთობის შესანარჩუნებლად აუცილებელია მხარეებს შორის ვიზიტების განხორციელება, დინამიკის შენარჩუნება და ძალისხმევა ქვეყნების საზღვრებს შორის დელიმინაციისა და დემარკაციის პროცესის დასრულების მიზნით. აგრეთვე, გრძელდება ურთიერთობების განვითარება ბელარუსის რესპუბლიკასთან და ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის გაღრმავება

პოლიტიკური, კულტურული ,ჰუმანური და სავაჭრო-ეკონომიკური მიმართულებებით. უზბეკეთის რესპუბლიკასთან ვაჭრობის დროს გამოიყენება 1993 წლის 24 სექტემბერს დსთ-ს მეთაურთა საბჭოს მიერ დამტკიცებული "საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის წესი". (http://www.ghn.ge/, 2019)

საქართველო რეგიონის სახელმწიფოებთან, როგორიც არის უკრაინა და მოლდოვის რესპუბლიკა ცდილობს მეგობრული ურთიერთობები შეინარჩუნოს მრავალი მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ დღეს ეს ქვეყნები საქართველოსთან ერთად ისეთი გამოწვევების წინაშე დგანან, როგორიც არის ტერიტორიული მთლიანობა და საზღვრების დაურღვევლობა, ევროკავშირში ინტეგრაცია და მომავლის ევროპის რეგიონთან დაკავშირება სხვადასხვა სფეროებში. საქართველოს მიზანს სომხეთთან მიმართებაში წარმოადგენს კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარება და ურთიერთსასარგებლო კავშირის განვითარება.

საქართველო და დსთ-ს ქვეყნები 2009-2020 წლის ექსპორტისა და იმპროტის მიხედვით

(ათასი აშშ დოლარი)

წელი	**ექსპორტი**	**იმპორტი**
2009	416,162.3	1,286,462.1
2010	676,618.2	1,576,342.4
2011	1,052,101.3	1,949,499.6
2012	1,244,575.8	2,060,106.4
2013	1,621,095.7	2,177,586.5
2014	1,465,298.7	2,127,489.9
2015	840,854.1	1,967,849.4
2016	737,522.4	1,981,191.3
2017	1,184,757.0	2,317,771.0

2018	1,669,480.0	2,694,413.4
2019	2,007,821.8	2,437,063.6
2020 (იანვარი-მაისი)	535,755.2	949,589.4

დსთ-ს ქვეყნები საქართველოს საგარეო სავაჭრო პარტნიორების სიაში წამყვან პოზიციებს იკავებენ. 2020 წლის იანვარი-მაისის მონაცემებით მისი წილი ქვეყნის ექსპორტში 43,3 პროცენტით განისაზღვრა, ხოლო იმპორტირებულში მისი წილი 32,0 პროცენტს შეადგენს. 2009 წელს დსთ-ს დატოვების მიუხედავად საქართველო აქტიურად განაგრძობში მასში შემავალ ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობების გაგრძელებასა და გაძლიერებას. 2020 წლის იანვარი-მაისის მონაცემებით მისი ექსპორტი 535,755.2 მლნ.დოლარს შეადგენს ხოლო იმპროტი 949,589.4 მლნ.აშშ დოლარს. ბოლო წლების მონაცემებით ექსპორტის მოცულობა დსთ-ს ქვეყნებში იზრდება ხოლო იმპორტისა იკლებს. საქსტატის მონაცემების მიხედვით ექსპორტი 2019 წელს იყო 2,007,821.8 მლნ. აშშ დოლარი, 2018 წელს 1,669,480.0 მლნ. აშშ დოლარი, 2017 წელს 1,184,757.0 მლნ.აშშ დოლარი. იმპორტირებული საქონლისა 2019 წელს 2,437,063.6 მლნ.აშშ დოლარი, 2018 წელს - 2,694,413.4 აშშ დოლარი ხოლო 2017 წელს- 2,317,771.0 აშშ დოლარი.

2.4.საქართველოში მოქმედი სავაჭრო რეჟიმები და საერთაშორისო ხელშეკრულებები

- უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი (Most-Favored-Nation)

საქართველო წარმოადგენს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრს, აქედან გამომდინარე მას ვმოს წევრ ქვეყნებთან, რომელსაც 164 სახელმწიფო შეადგენს, ვაჭრობას ახორციელებს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის საფუძველზე (http://mfa.gov.ge/, 2019).

- პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა (Generalized System of Preferences - GSP)

აღნიშნული სისტემის ძირითად არსს წარმოადენს ტარიფის შემცირებული განაკვეთის დაწესება ბენეფიციარი ქვეყნების იმპორტირებულ პროდუქტზე, რაც ამარტივებს

განვითარებული ქვეყნების ბაზარზე განვითარებადი ქვეყნის საქონლის შეღწევას. საქართველო არის იაპონიის, აშშ-სა და კანადის პრეფერენციათა განზოგადებული სისტემის რეჟიმის ბენეფიციარი.

- თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი

თავისუფალი ვაჭრობა გულისხმობს საბაჟო-საიმპორტო გადასახადებისგან გათავისუფლებას, შეთანხმებაში მონაწილე მხარეებს შორის, გარდა ურთიერთშეთანხმებული გამონაკლისებისა. საქართველოს აქვს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი დსთ-ს ქვეყნებთან ასევე თურქეთთან და ევროკავშირთან. დსთ-ს ქვეყნებთან გარდა რუსეთის ფედერაციისა ,სავაჭრო რეჟიმი რეგულირდება 1994 წელს „თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ“ დსთ-ს მრავალმხრივი შეთანხმებით, აგრეთვე ორმხრივ ფორმატში იმ ქვეყნებთან, რომლებთანაც საქართველოს მსგავსი შეთანხმება აქვს გაფორმებული. საქართველო არის ასევე სუამის ფარგლებში მოქმედი 2002 წელს გაფორმებული თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ მრავალმხრივი შეთანხმების მონაწილე. 2014 წლიდან კი ამოქმედდა ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ (DCFTA) შეთანხმება (http://infocenter.gov.ge, 2018).

2018 წლის 20 მარტს საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაიმართა საბაჟო ქვეკომიტეტის შეხვედრა ქალაქ ბრიუსელში. შეხვედრის ფარგლებში ქვეკომიტეტის გადაწყვეტილებას მოეწერა ხელი, რის საფუძველზეც განისაზღვრა ცნება „საქონლის წარმოშობისა „ საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში. ასევე, განისაზღვრა ადმინისტრაციული თანამშრომლობის მეთოდები წესების შესახებ ოქმი და ჩანაცვლდა პან-ევრო-ხმელთაშუა ზღვის პრეფერენციული წარმოშობის წესების რეგიონალური კონვენციის შესაბამისი დანართით. (https://ka.wikipedia.org, 2020) ზემოთ ხსენებული ცვლილება საშუალებას გვაძლევს, რომ ამოქმედდეს დიაგონალური კუმულაცია საქართველოს, თურქეთსა და ევროკავშირს შორის. მას შემდეგ, რაც თურქეთი მოახდენს რატიფიცირებას საქართველოსა და თურქეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შესაბამის ცვლილებებისა. საქართველოს მხრიდან უკვე დასრულებული იქნა რატიფიცირების პროცესი. საქართველოს ორმხრივი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს რუსეთის ფედერაციასთან,

აზერბაიჯანთან, სომხეთთან, უკრაინასთან, მოლდოვასთან, ყაზახეთთან, უზბეკეთთან, თურქმენეთთან, თურქეთთან. დსთ-ს ქვეყნებთან ვაჭრობისას საქართველო იყენებს დსთ-ს მეთაურთა საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის წესს“ რომელიც 2000 წლის 30 ნოემბერს შემუშავდა.

უზბეკეთის რესპუბლიკასთან ვაჭრობის დროს გამოიყენება 1993 წლის 24 სექტემბერს დსთ-ს მეთაურთა საბჭოს მიერ დამტკიცებული “საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის წესი“. (http://www.ghn.ge/, 2019)

რუსეთთან ვაჭრობისას გამოიყენება რუსეთსა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების პირველი და მეორე მუხლით განსაზღვრული კრიტერიუმები. ამის გარდა რუსეთსა და თურქეთს შორის არსებული თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი, ითვალისწინებს გამონაკლისებს, კონკრეტულად თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმიდან გარკვეული საქონლის ამოღებას.

ვმო-ს შეთანხმებები - გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ (GATT) - აღნიშნული შეთანხმების ძირითად მიზანს ვაჭრობის ლიბერალიზაცია წარმოადგენს, ასევე პროტექციონისტული ტარიფების დონის დაწევა და სავაჭრო ბარიერების დონის შემცირება.

ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმება (General Agreement on Tarrifs and Trade - GATT) იგი განიხილებოდა როგორც მდიდარი ქვეყნების კლუბი. მისი წესია ვაჭრობის ლიბერალიზაცია მდიდართა სასარგებლოდ. (http://mfa.gov.ge/, 2019)

გატი შეიქმნა წევრ ქვეყნებს შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშესაწყობად 1947 წელს, რაც გამოიხატა მოლაპარაკებების წარმოებაში ტარიფების შემცირებისა და რეგულირების შესახებ შეთანხმებით. თავისუფალი ვაჭრობა აინტენსიურებს და აფართოებს ,ასევე, ხელს უწყობს კაცობრიობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას. გატმა შეიმუშავა დავების მოგვარების მექანიზმი. მისი შტაბ ბინა მდებარეობს ჟენევაში. მის მოლაპარაკებებს უწოდებენ რაუნდებს. მის მიზანს წარმოადგენს სამართლიანი სავაჭრო გარემოს შექმნა, ტარიფების შემცირება და სავაჭრო ბარიერების მოხსნა. იგი ეყრდნობა 3 პრინციპს.

- არა დისკრიმინაცია, მრავალმხრივობა, და ყველაზე სასურველი სახელმწიფოს პრინციპის (Most-Favoured Nation Principle) გავრცელება შეთანხმების ყველა წევრზე.

- ვაჭრობის გაინტენსიურება წევრ სახელმწიფოებს შორის სავაჭრო ბარიერების შემცირების გზით;

- უპირობო თანამშრომლობა ყველა წევრს შორის.

უნდა შექმნილიყო მსოფლიო სავაჭრო რეჟიმი ან უნივერსალური კანონები სავაჭრო პოლიტიკის წარმოებისათვის.

იმის მიუხედავად რომ ნაკლებად განვითარებული სახელმწიფოების უმეტესობა არ შეუერთდნენ გატ-ს და ამის პარალელურად არ ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობებს, ამის მიუხედავად გატ-მა საგრძნობლად შეუწყო ხელი ომის შემდეგ პერიოდში მსოფლიო ვაჭრობის ლიბერალიზაციის პროცესს.

ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ (TRIPS) - მოცემული შეთანხმება სახელმწიფოს უყენებს მოთხოვნებს, რომლებიც იცავს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვას.

ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შესახებ (TBT) - შეთანხმების შესაბამისად წევრი ქვეყნების მიერ შემოღებული უნდა იყოს ტექნიკური რეგულირება ისე რომ მათ არ შექმნან ზედმეტი დაბრკოლება საერთაშორისო ვაჭრობაში.

სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომების გამოყენების შესახებ (SPS)- აღნიშნული მიზნად ისახავს მხოლოდ ცხოველების, ადამიანების ჯანმრთელობისა და მცენარეების დაცვას.

3. საქართველოს საგარეო ვაჭრობის მდგომარეობა, პრობლემები და განვითარების პერსპექტივები

3.1. საქართველოს საგარეო ვაჭრობის დინამიკის ანალიზი (2015-2020წწ)

2020 წლის იანვარ-მაისში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ საქონელთან მიმართებაში შეადგინა 4 205.8 მილიონი აშშ დოლარი, რაც არ მოიცავს არადეკლარირებულ ვაჭრობას. (geostat.ge, 2020)

აღნიშნული ციფრი წინა წლის იანვარი-მაისის მონაცემებთან შედარებით 16.8 პროცენტით ნაკლებია. მოცემული თანხიდან 1 235.7 მლნ. აშშ დოლარი მოიცავს ექსპორტს, რაც წინა წელთან შედარებით 16.2 პროცენტით ნაკლებია, ხოლო შესაბამისად იმპორტს შეადგენს 2 970.1 მლნ. აშშ დოლარი, რაც წლის ამ პერიოდთან შედარებით 17.0 პროცენტით ნაკლებია. 2020 წლის იანვარ-მაისში ქვეყნის უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა შეადგინა 1 734.4 მლნ. აშშ დოლარი, რაც საგარეო ვაჭრობის ბრუნვის 41.2 % შეადგენს.

საგარეო ვაჭრობის ზოგადი მაჩვენებლები 2015-2020 წწ. იანვარ-მაისში

(მლნ.აშშ დოლარი)



აღნიშნული გრაფიკი ასახავს 2015-2020 წლის ტენდენციებს საგარეო ვაჭრობაში. როგორც ვხედავთ წლების განმავლობაში იმპორტს მზარდი ტენდენცია ახასიათებს. 2020 წლისთვის Covid-19 პანდემიამ გამოიწვია მცირედი კლება იმპორტისა. ამ წლის იანვარი-მაისის მონაცემებით იმპორტის მოცულობა 2 970.1 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს ხოლო 2019 წლის მონაცემებით 3 580.2 მლნ. აშშ დოლარს. რაც შეეხება იმპორტს, 2015 წლიდან 2019 წლამდე მას მზარდი ტენდენცია ახასიათებდა, მაგრამ კრიზის შედეგად 2020 წლისთვის მისი მოცულობა შემცირდა და იანვარი-მაისის მონაცემებით 1 235.7 მლნ.აშშ დოლარი შეადგინა .საგულისხმოა სავაჭრო სალდოს მოცულობა, რომლის მაჩვენებელი დღევანდელი მონაცემებით გაზრდილია და -1 734.4 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს რაც წინა წელთან შედარებით დადებითი მაჩვენებელია, აღნიშნული შედეგი გამოწვეული იქნა იმპორტის კლებით. როგორც გრაფიკშია ასახული 2015-2020 წლებში სავაჭრო სალდოს უარყოფითი

დინამიკა ახასიათებს, რაც ექსპორტსა და იმპორტს შორის სხვაობით არის გამოწვეული. საქართველოს მიზანს წარმოადგენს ამ მაჩვენებლის შეცვლა და ექსპორტის მოცულობის ზრდა მომავალ პერიოდში.

საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლების წილი ბრუნვაში 2015-2020 წწ. იანვარ-მაისში



მოცემულ გრაფიკზე ასახულია საგარეო ვაჭრობის წილი ბრუნვაში. საგულისხმოა, რომ ექსპორტის წილი წლების განმავლობაში იზედება.2019 წელთან შედარებით მცირედი ზრდა ფიქსირდება 2020 წლის იანვარ-მაისში. მაჩვენებელი 29.2 პროცენტიდან გაიზარდა 29.4 პროცენტამდე. ხოლო ანალოგიურ პერიოდში იმპორტის წილმა იკლო 70.8 პროცენტიდან 70.6 პროცენტამდე.

დანართში(იხ.დანართი 1) მოცემული ცხრილი ასახავს 2018-2020 წლის ექსპორტისა და იმპორტის ყოველთვიურ დინამიკას ასევე მათ პროცენტულ ცვლილებებს წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით. 2018 წლის იანვრის მონაცემებით ექსპორტი შეადგენდა 222 649.9 აშშ დოლარს, ცვლილება კი 25.9 პროცენტს. იმპორტის შემთხვევაში იანვრის თვის მოცულობა იყო 594 574.0 აშშ დოლარი ხოლო პროცენტული ცვლილება 20.1 პროცენტი. 2019 წლის დასაწყისში ექსპორტის თვიური მოცულობა იყო 238 766.2 აშშ

დოლარი ხოლო ცვლილება 7.2 პროცენტი. იმპორტის შემთხვევაში ეს ციფრი შეადგენდა 620 607.0 აშშ დოლარს, ცვლილება კი 4.4 პროცენტს შეადგენდა. წინა წლის დასაწყისთან შედარებით ექსპორტის თვიური მოცულობის მაჩვენებელი გაზრდილია. 2020 წლის იანვარში ექსპორტის მოცულობამ 262 649.4 აშშ დოლარი შეადგინა. მზარდი ტენდენციის მიუხედავად წინა თვეებთან შედარებით აღნიშნული მაჩვენებელი შემცირებულია. 2019 წლის დეკემბერში ექსპორტის მოცულობა იყო 390 349.4 .საყურადღებოა, რომ Covid-19 პანდემიის კრიზის შედეგად ექსპორტის მკვეთრი კლება იქნა დაფიქსირებული. თუ გადავხედავთ 2019 წლის ბოლო კვარტალს ყოველი თვის ექსპორტის მოცულობა მეტია წინა თვესთან შედარებით. 2020 წლის პირველ კვარტალში ეს მონაცემები რადიკალურად შეიცვალა, ცვლილების პროცენტულმა მაჩვენებელმა კი უარყოფითი სახე მიიღელო. 2020 წლის თებერვლის თვე-ექსპორტის მოცულობა 263 616.8 აშშ დოლარი, პროცენტული ცვლილება -0.5 პროცენტი. მარტი- 251 896.4 აშშ დოლარი ცვლილება კი -22.1 პროცენტი. აპრილის თვე-223 160.6 აშშ დოლარი, ცვლილება -27.9, მაისის მონაცემებით ექსპორტი იყო 234 366.2 აშშ დოლარი ხოლო ცვლილება -30.6 პროცენტი.

2020 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით ექსპორტს კლებადი ტენდენცია ახასიათებს და შესაბამისად ცვლილების სალდოც მინუს ნიშნით არის მოცემული. მნიშვნელოვანია რომ პანდემიის შედეგად გამოწვეულმა კრიზისმა იმოქმედა როგორც ექსპორტის, ასევე, იმპორტის მოცულობაზე. 2020 წლის იანვარი-მაისის მონაცემებით იანვრის თვეში იმპორტის მოცულობა შეადგენდა 643 793.5 აშშ დოლარს, რაც დეკემბრის თვესთან შედარებით შემცირებულია(დეკემბერი-941 085.6 აშშ. დოლარი). თებერვლის თვეში იმპორტის მოცულობა მცირედით გაიზარდა ხოლო მარტის შემდეგ მკვეთრი ვარდნაა და პროცენტული ცვლილებაც შესაბამისად უარყოფითია. მარტი- 666 227.9 აშშ დოლარი, ცვლილება -15.3%, აპრილი- 460 562.8 აშშ დოლარი, ცვლილება -38.2%, მაისი- 234 366.2 აშშ დოლარი, ცვლილება -34.3. (geostat.ge, 2020)

საქართველოს მთლიანი ექსპორტისა და იმპორტის წილი ქვეყნის ჯგუფების მიხედვით გამოიყოფა რამდენიმე ჯგუფი. ექსპორტის შემთხვევაში 2020 წლის იანვარი-მაისის პერიოდში ეს ჯგუფები ნაწილდება შემდეგნაირად. დსთ-ს ქვეყნები 43.3% ,

დანარჩენი ქვეყნები-34.4% , ევროკავშირის ქვეყნები 22.3%. როგორც მონაცემებიდან ჩანს დსთ-ს ქვეყნებში ქართული პროდუქტის ექსპორტის შემთხვევაში ლიდერობს დსთ-ს ქვეყნები. იმპორტის შემთხვევაში ქვეყნების ჯგუფების წილი ნაწილდება შემდეგნაირად: დანარჩენი ქვეყნები 43.7%, დსთ-ს ქვეყნები 32.0% და ევროკავშირის ქვეყნები 24.3%. 2020 წლის იანვარ-მაისის პერიოდში გამოვლინდა ათი უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნის წილი საქართველოს მთლიან ექსპორტში. მთლიანი მოცულობის წილი ქვეყნის ექსპორტში შეადგენს 77.2 პროცენტს. 3 ყველაზე მსხვილი საექსპორტო ქვეყანა შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: ჩინეთი (168.4 მლნ. აშშ დოლარი), აზერბაიჯანი (167.4 მლნ. აშშ დოლარი) და რუსეთი (157.1 მლნ. აშშ დოლარი). საიმპორტო პარტნიორთა წილი საქართველოს მთლიან იმპორტში შეადგინა 69.2 პროცენტი. პირველ სამეულში შევიდა შემდეგი ქვეყნები: თურქეთი (478.8 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (336.9 მლნ. აშშ დოლარი) და ჩინეთი (274.7 მლნ. აშშ დოლარი).2020 წლის იანვარი-მაისის მონაცემებით საქართველოს ათ უდიდეს სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების წილმა მთლიანი საგარეო ვაჭრობის ბრუნვაში 69.8 პროცენტი შეადგინა.აღნიშნული პარტნიორები არიან: თურქეთი (560.6 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (494.0 მლნ. აშშ დოლარი) და ჩინეთი (443.2 მლნ. აშშ დოლარი). (geostat.ge, 2020)



2020 წლის იანვარ-მაისის პერიოდში საექსპორტო ათეულში სასაქონლო ჯგუფებიდან სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა დაიკავა პირველი ადგილი 258.1 მლნ. აშშ დოლარით, რაც მთელი ექსპორტის 20.9 პროცენტს წარმოადგენს. მეორე ადგილი დაიკავა მსუბუქი ავტომობილებმა 148.9 მლნ. აშშ დოლარით (მთლიანი ექსპორტის 12.0 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილზე არის ფეროშენადნობები 109.2 მლნ. აშშ დოლარით (8.8 პროცენტი). (geostat.ge, 2020)

2020 წლის იანვარ-მაისის მონაცემებით იმპორტირებული სასაქონლო ჯგუფის პირველი ადგილი დაიკავა მსუბუქი ავტომობილების იმპორტმა რომლის მოცულობაც 222.8 მლნ. აშშ დოლარი და მთელი იმპორტის 7.5 პროცენტი შეადგინა. მეორე ადგილი დაიკავა სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა 199.1 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 6.7 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილზე აღმოჩნდა ნავთობი და ნავთობპროდუქტები 195.6 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 6.6 პროცენტი).

3.2. საქართველოს საგარეო ვაჭრობის შემაფერხებელი ფაქტორები და მისი დაძლევის გზები

დღეისათვის მსოფლიო ბაზარზე მთავარ ინდიკატორს პროდუქტის კონკურენტუნარიანობა წარმოადგენს. მისი ამაღლების საკითხი აქტიურ პრობლემებს შორის მოიაზრება და ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს კატეგორიას წარმოადგენს. მისი მნიშვნელობა გაიზარდა გლობალიზაციის მასშტაბის გაზრდასთან ერთად, რადგან მოცემულ მდგომარეობაში უფრო მეტი ქვეყანა ჩაერთო კონკურენტულ ბრძოლაში. გლობალიზაცია საშუალებას იძლევა ღია საზოგადოებისა და საბაზრო ეკონომიკის შესაძლებლობების გამოყენების. ფორმალურად ღია ეკონომიკა უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებს ყველა ქვეყნისთვის, მაგრამ ქვეყნები ასიმეტრიულად ვითარდება. სწორედ ამის გამო რეალური სურათი განსხვავებულად გამოიყურება. პოლიტიკური გავლენის და ძლიერი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოები თავიანთი მდგომარეობიდან გამომდინარე იღებენ ე.წ „განვითარების რენტას“ და ახერხებენ იქონიონ მაღალი კონკურენტუნარიანობა ბაზრების მონოპოლიზაციისა და

სტრატეგიული ლიდერობის ხარჯზე. საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის დონეები განსხვავდება განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის. კონკურენტუნარიანობის ისტორიულ საფუძველს წარმოადგენს ეროვნული ეკონომიკის ფარდობითი უპირატესობა, რაც გამოიხატება იაფი მუშა ხელის, უხვი ბუნებრივი რესურსის, ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის, ინფრასტრუქტურის, კლიმატური პირობების და სხვა დამატებითი უპირატესობების მიხედვით.

საქართველომ იმისათვის, რომ განავითაროს ეკონომიკა მნიშვნელოვანია მისი კონკურენტუნარიანობის გლობალურ დონეზე აყვანა. ექსპორტის დამხმარე სისტემების შექმნა ქვეყანას დაეხმარება ადგილობრივი წარმოების პროდუქტისა და მომსახურების კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში და ხელს შეუწყობს მის დამკვიდრებას მსოფლიო ბაზარზე.

მნიშვნელოვანია, რომ ხელი შეეწყოს აგრარული პროდუქტის ექსპორტზე გატანას, მოხდეს სექტორის მოდერნიზაცია და ამის ხარჯზე გაიზარდოს პროდუქტის კონკურენტუნარიანობა. ასევე, აუცილებელია სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის განვითარება, რათა განვითარდეს სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობა. უნდა გაიზარდოს ფერმერთა ხელმისაწვდომობა ირიგაციისა და სადრენაჟო სისტემებზე, აგრეთვე, ფერმერთა მიერ რესურსების ოპტიმალური გამოყენებისათვის და მწარმოებლურობის ზრდისათვის სასურველია წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიების მიწოდება. საექსპორტო პოტენციალის ზრდისა და ადგილობრივი მოთხოვნის დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია ხელი შეეწყოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი და შემნახველი ინფრასტრუქტურის განვითარებას, რაც გაზრდის როგორც სოფლის მეურნეობის მწარმოებლურობას, აგრეთვე, მის კონკურენტუნარიანობას მსოფლიო ბაზარზე. ეროვნული ეკონომიკის დივერსიფიკაციასთან უშუალო კავშირშია ექსპორტის დივერსიფიცირება. აქედან გამომდინარე, პირველ რიგში საქართველოსთვის მნიშვნელოვანია აღნიშნულის პროგრესული დივერსიფიკაცია. მთავარი აქცენტი უნდა გაკეთდეს წარმოების განვითარებასა და დამატებული ღირებულების მაღალი წილის მქონე დარგებზე. ამასთან

ერთად, დამატებული ღირებულების საქონლის ზრდა არ უნდა მოხდეს მარტო მატერიალური საქონლის ექსპორტით, ყურადღება ასევე უნდა დაეთმოს ტექნოლოგიებითა და მომსახურებით ვაჭრობას.აღნიშნული კუთხით დივერსიფიკაციას დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ეკონომიკისთვის, რადგან ქვეყნის მშპ-ში მომსახურების წილი 2/3 შეადგენს.

ქვეყანაში განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს საქონლისა და მომსახურების ხარისხს და მის ამაღლებას. იმისათვის, რომ გადაიჭრას აღნიშნული პრობლემები საჭიროა მწარმოებლების მიერ საბაზრო ფაქტორების გათვალისწინება და ხარისხის მართვის ორგანიზაციულ-ეკონომიკურ ზომებზე გადასვა. ამისათვის საჭიროა სერტიფიკაციისა და სტანდარტიზაციის მოქნილი სისტემა, რომელიც შესაძლებლობას აძლევს მწარმოებლებს საგარეო და საშინაო ბაზარზე საქონლის ხარისხის მიმართ წაყენებული მოთხოვნების ცვლილებაზე ოპერატიული რეაგირება იქონიონ. ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფა ხდება მოთხოვნილებათა გამოვლენის, მათი დაკმაყოფილებისთვის გამიზნული პროდუქტების ძირითადი პარამეტრების დადგენასა და მათი მიღწევის გზების განსაზღვრის საფუძველზე.

საქართველოში ადგილობრივი წარმოების პროდუქტის ხარისხის ასამაღლებლად და მისი ეფექტიანი მართვისთვის საჭიროა, რომ შემუშავდეს პროდუქციის ხარისხის მართვის სახელმწიფო პოლიტიკა და შესაბამისად მოგვარდეს არსებული პრობლემა. აღნიშნულმა პოლიტიკამ სტიმული უნდა მისცეს საქონლის მწარმოებლებს, რომ მომხმარებლის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე გამიზნული, საშინაო და საგარეო ბაზარზე არსებული კონკურენტუნარიანი საქონლის წარმოებას მიჰყონ ხელი. ამასთან ერთად, ხარისხის მართვის სახელმწიფო რეგულირების პოლიტიკის შემუშავების პროცესში მკაფიოდ უნდა გამოიხატოს პრაქტიკულ საქმეში სახელმწიფოს ჩაურევლობის პრინციპი, რადგან ამ პროცესში მონაწილეობას უნდა იღებდნენ მხოლოდ მწარმოებლები და მომხმარებლები. სახელმწიფოს როლი ხარისხის მართვაში უნდა გამოიხატებოდეს მხოლოდ ტექნოლოგიისა და პროდუქციის მიმართ წაყენებული ეკოლოგიური და უსაფრთხოების ნორმების დაცვაში, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფაში, კონკურენტუნარიანობისა და

ხარისხის თვალსაზრისით, საქართველოს ინტერესების სხვა ქვეყნის ინტერესებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაში, რაც საბოლოოდ განაპირობებს ქართული საწარმოებისა და მათი წარმოებული პროდუქციის ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის პრობლემების გადაჭრას.საგარეო ვაჭრობის კონკურენტუნარიანობის განსაზღვრის შემდეგი ფაქტორები შეიძლება გამოვყოთ: 1.ექსპორტის წახალისება (სტიმულირება), რომელიც მოიცავს სავაჭრო და საგადასახადო პოლიტიკას, აგრეთვე ვალუტის გაცვლის კურსის პოლიტიკას; 2. ვაჭრობასთან დაკავშირებული ხარჯების შემცირება; 3. ბაზრისა და სახელმწიფო რეგულირების არაეფექტიანობის დაძლევა. (2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია) ეროვნული ეკონომიკისათვის განვითარების ფაქტორს წარმოადგენს საგარეო ვაჭრობა, ანუ ექსპორტი, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოს სავალუტო შემოსავლების ზრდას.

საქართველოს საგარეო ვაჭრობისთვის დამახასიათებელია განვითარების დაბალი ტემპი, ძლიერი დამოკიდებულება იმპორტზე, დაბალი წილი მაღალტექნოლოგიური საქონლისა, დივერსიფიკაციის დაბალი დონე, უარყოფითი სავაჭრო ბალანსი და სხვა ნეგატიური ფაქტორები, რაც საბოლოოდ მის დაბალ კონკურენტუნარიანობას განაპირობებს.ინდუსტრიულ საზოგადოებაში ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელია წარმოების ფაქტორებითა და რესურსებით განპირობებული უპირატესობები, პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში კი კონკურენტუნარიანობაში წამყვან როლს ასრულებს უახლესი ტექნოლოგიური მიღწევები, ინოვაციები და „ნოუ-ჰაუ“, რომლის დეფიციტს განიცდის საქართველო და რაც მისი ეკონომიკის გლობალური კონკურენტუნარიანობის ამაღლებას ხელს უშლის. ექსპორტის დივერსიფიკაცია უშუალოდ უკავშირდება ეროვნული ეკონომიკის დივერსიფიკაციას. აქედან გამომდინარე საქართველოსთვის საჭიროა ამ უკანასკნელის პროგრესული დივერსიფიკაცია. უნდა განვითარდეს წარმოება და აქცენტი გაკეთდეს დამატებული ღირებულების მაღალი წილის მქონე დარგებზე. ამასთანავე, ქვეყნის ექსპორტის ზრდა არ უნდა იყოს განპირობებული მხოლოდ ნივთობრივი პროდუქტის ექსპორტით, საჭიროა ასევე მომსახურებითა და ტექნოლოგიებით ვაჭრობა. საქართველოსათვის

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მსოფლიო ინტეგრაციისა და გლობალიზაციის პირობებში გაზარდოს ევროკავშირთან სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების მასშტაბი. ამით ქვეყანა უზრუნველყოფს სახელმწიფოს მდგრად და უსაფრთხო განვითარებას.

3.3. საქართველოს საგარეო სავაჭრო პოტენციალის შეფასება მიმდინარე კოვიდ-19 პანდემიის პირობებში (მოსახლეობის კვლევის საფუძველზე)

პარაგრაფში მოცემულია მეთოდოლოგია, რომლის საფუძველზეც გაკეთდა კვლევა. განმარტებულია კვლევის თეორიული საფუძველი. ასევე, განმარტებულია იმ პოპულაციის მოცულობა და შერჩევის კრიტერიუმები, რომელზეც ხორციელდება კვლევა. კვლევის ინსტრუმენტი ჩამოყალიბდა პროცედურებით, რომლებიც ჩამოთვლილია პარაგრაფში. რაოდენობრივი კვლევის საშუალებით ხდება იმ მოსაზრებების შემოწმება, რომლებსაც ემყარება კვლევის ფილოსოფია. მოწმდება ის ჰიპოთეზები, რომლებიც მანამამდე მხოლოდ თეორიულად იყო განხილული. კვლევას აქვს პოზიტიური ხასიათი, რომელშიც იგულისხმება მკვლევარისაგან დამოუკიდებელი რეალობის არსებობა.

ამრიგად რაოდენობრივი კვლევის მეთოდია გამოყენებული ნაშრომში. ჩამოყალიბებული ჰიპოთეზები შემოწმდა ანალიზისა და მონაცემების შეგროვების საფუძველზე, რომლებიც შემუშავდა სტრატეგიული მართვის სფეროში წამყვანი მეცნიერების კვლევების ანალიზის შედეგად, რის შემდეგ მოხდა შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და მათი განზოგადება. გამოკითხვა განხორციელდა სოციალური ქსელისა და Drive.google.com პროგრამის საფუძველზე. სწორედ აღნიშნული წყაროები იქნა გამოყენებული კვლევის ინსტრუმენტად. მთელი მოსახლეობიდან (3,989,167 კაცი) მონაცემთა ბაზის მიხედვით შეირჩა ეკონომიკურად აქტიური ნაწილი. 2019 წლის მონაცემების მიხედვით საქართველოში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა 1911200 ადამიანს შეადგენდა. აღნიშნული ინტერვიუებით გამოიკვეთა რომ, როგორც ბიზნესზე, ასევე, ადამიანების ყოველდღიურობაზე აისახა Covid-19 პანდემია.

ბიზნეს სფეროში მოღვაწე მკვლევარების მიერ აღიარებული ფორმულით განისაზღვრა საკვლევი პოპულაციიდან მინიმალური რაოდენობის ზომა, რომელიც რაოდენობრივად

შეადგენს 211 რესპოდენტს, 95% ნდობის დონის და +/- 6% ნდობის ინტერვალით. კვლევა ჩატარდა მარტივი შემთხვევითი შერჩევით, რაც საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ მთლიანად ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაზე შედეგების გენერალიზირება.

კითხვარი, რომელიც გამოყენებული იქნა კვლევის ინსტრუმენტად შედგებოდა 29 კითხვისგან. კითხვების რაოდენობა განისაზღვრა კვლევის სიზუსტისა და ინფორმაციის მრავალფეროვნების მიხედვით. მისი სრულყოფა მოხდა მუშაობის პროცესში.

სამუშაო პროცესში აქტიურად მონაწილეობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი. მისი შენიშვნების საფუძველზე მოხდა შესწორებების შეტანა და კვლევის ინსტრუმენტის სრულყოფა. შემდგომ გადამოწმებული იქნა აკადემიური პერსონალის მიერ, გაკეთდა შენიშვნები და შეტანილი იქნა ცვლილებები მათ საფუძველზე. შედეგად მივიღეთ ოპტიმალური ვერსია საკვლევი ინსტრუმენტისა.

კვლევის ფარგლებში გამოკითხული იქნა 211 რესპოდენტი, გამოკითხულთა შორის იყო მამრობითი სქესის 63.5% წარმომადგენელი, ხოლო 36.5% მდედრობითი სქესის წარმომადგენელი. რესპოდენტთა ასაკობრივი წილი პროცენტული კლების მიხედვით იყო



შემდეგნაირი: 50.7% 21-30 წელი, 26.1% 15-20 წელი, 11.8% 31-40 წელი, 6,2% 41-50 წელი, 3.8% 51-60 წელი, 1.4% საპენსიო ასაკი. როგორც მონაცემებიდან ჩანს, რესპოდენტთა უმრავლესობა 21-30 წლის ასაკობრივ სეგმენტს წარმოადგენს. რესპოდენტების 49.3% არის დასაოჯახებელი, 37.4% დაოჯახებული, 12.8%

განქორწინებული, 0.5% ქვრივი. დასაქმების სტატუსის მიხედვით ყველაზე მეტი რაოდენობით 38.4% არის თვითდასაქმებული, შემდეგ მოდის 35.5% დასაქმებული, 12.3% სტუდენტი, 8.1% უმუშევარი, ხოლო 2.8-2.8% თანაბრად დიასახლისი და პენსიონერი. ამასთანავე განისაზღვრა რესპოდენტთა თვიური შემოსავლების პროცენტული რაოდენობა. მათ უმეტესობას 43.6% აქვს 501-1000 ლარი შემოსავალი, 25.6% აქვს 0-500 ლარი, 20.9% აქვს 1001-2000 ლარი, 8.1% 2001-4000 ლარი, ხოლო 1.9% აქვს 4001 ლარზე მეტი შემოსავალი.

კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ გამოკითხულ რესპოდენტთა უმრავლესობას გარემოცვაში ჰყავს ადამიანები, რომლებიც ეწევიან ბიზნეს საქმიანობას. ასეთი აღმოჩნდა რესპოდენტთა 59.2%, თავად ბიზნეს საქმიანობის მფლობელია 21.8%, 16.1% არ ეწევა ბიზნეს საქმიანობას, ხოლო 2.8% გეგმავს ბიზნესის წამოწყებას. კვლევის ფარგლებში რესპოდენტებმა 0 დან 10 ქულამდე შკალის გამოყენებით შეაფასეს აღნიშნული ბიზნესის დამოკიდებულება საგარეო ვაჭრობაზე.1 ქულა გვიჩვენებს, რომ ეს ბიზნესი საერთოდ არ არის დამოკიდებული საგარეო ვაჭრობაზე, ხოლო 10 ქულა გვიჩვენებს მაქსიმალურ დამოკიდებულებას. რესპოდენტების უდიდესი ნაწილი აღნიშნული ბიზნესის დამოკიდებულებას საგარეო ვაჭრობაზე აფასებენ 8 ქულით(26%), 7 ქულით- 16.7%, 9 ქულით 14.2%, 6 ქულით-12.3%, 5 ქულით, 8.8%,1 ქულით- 7.8%, 10 ქულით-5.9%, 4 ქულით-5.4%, 3 ქულით-2.9%. თუ გამოვითვლით საშუალო შეწონილ ქულას, მივიღებთ 6.7 ქულას, რაც ცალსახად გვიჩვენებს, რომ მითითებული ბიზნესების უმეტესობა დამოკიდებულია ექსპორტ-იმპორტზე. აღნიშნული ჰიპოთეზის შესამოწმებლად დავაზუსტეთ თუ კონკრეტულად რა სახის ბიზნეს საქმიანობას ეწევა მითითებული ბიზნესი. 72 რესპოდენტმა აღნიშნა, რომ ბიზნესი ეწევა მზა პროდუქციის იმპორტს, 52 რესპოდენტმა- არც ერთს მითითებულიდან, 31-31 რესპოდენტმა -მზა პროდუქციის ექსპორტსა და ნედლეულის ექსპორტს. ხოლო 15- ნედლეულის იმპორტს. Covid-19 ის შედეგად საგარეო ვაჭრობის შეზღუდვებმა გარკვეული გავლენა მოახდინა ბიზნეს საქმიანობაზე. ამას აღნიშნავენ ჩვენი რესპოდენტებიც. გამოკითხულთა 46.8% ანუ თითქმის ნახევარი ამბობს, რომ არსებულმა შეზღუდვებმა ნაწილობრივ მოახდინა გავლენა არსებულ ბიზნესზე. 29.9% ადასტურებს, რომ ამ ბიზნესზე ნამდვილად იქონია გავლენა covid-19ის პანდემიამ. ხოლო 23.4% მიაჩნია რომ არ იქონია არანაირი გავლენა.

განისაზღვრა მომხმარებელთა დამოკიდებულება იმპორტული და ადგილობრივი პროდუქციის მიმართ. აღმოჩნდა, რომ რესპოდენტთა 39.8 პროცენტი ადგილობრივ წარმოებას ანიჭებს უპირატესობას, 26.5 პროცენტი არ ანიჭებს დიდ მნიშვნელობას, 14.7 პროცენტი იმპორტულ პროდუქციას ანიჭებს უპირატესობას, 19 პროცენტი კი ორივეს თანაბრად. ჩვენთვის ასევე საინტერესო იყო თუ როგორ შეიცვალა მომხმარებელთა დამოკიდებულება იმპორტულ და ადგილობრივი პროდუქციის მიმართ Covid-19 პანდემიის პირობებში. ამისთვის კითხვარში იყო პირველადი მოხმარების პროდუქტზე, ტანსაცმლისა და ხანგრძლივი მოხმარების იმპორტულ და ადგილობრივ საგნებზე შემოსავლის განაწილების შესახებ კითხვები covid-19 პანდემიამდე და პანდემიის შემდეგ. პასუხებიდან გამომდინარე გაკეთდა შემდეგი დასკვნები: პირველადი მოხმარების პროდუქტს შორის მომხმარებელი შემოსავლის 25-50 პროცენტს ხარჯავს უმეტესად იმპორტულ პროდუქტზე(49.3%). აღსანიშნავია, რომ პანდემიის პერიოდში სურათი შეიცვალა და მომხმარებელი ამჯერად ადგილობრივ პროდუქციას ანიჭებს უპირატესობას(51.7%). ისინი ვინც შემოსავლის 0-25 პროცენტს ხარჯავდა იმპორტულ პირველადი მოხმარების საგნებზე პანდემიის პერიოდში, მოთხოვნა გაეზარდათ 10%ით. ხოლო აღნიშნულ კატეგორიაში ადგილობრივ საქონელზე მომხმარებელთა შემოსავლის 0-25 პროცენტს ვინც ხარჯავდა, პანდემიის პერიოდში მოთხოვდა შეუმცირდათ 1 პროცენტით. რაც შეეხება ტანსაცმელს, ამ შემთხვევაში მომხმარებელთა მოთხოვნა პანდემიის პერიოდში შემცირდა ადგილობრივ პროდუქტზე და გაიზარდა იმპორტულზე. აღნიშნული განპირობებული იყო მაღაზიების დახურვით და ონლაინ ვაჭრობის გააქტიურებით. ძირითადად ინტერნეტის საშუალებით ადამიანები იძენდნენ იმპორტულ ტანსაცმელს. რაც შეეხება ხანგრძლივი მოხმარების საგნებს, მომხმარებელი რომელიც შემოსავლის 0-25 პროცენტს ხარჯავდა მათზე გაეზარდათ მოთხოვნა, როგორც იმპორტულ, ასევე, ადგილობრივ ხანგრძლივი მოხმარების საგნებზე. ანალოგიურად ტანსაცმლისა არის ვარაუდი, რომ მოხმარება გაიზარდა ონლაინ გამოწერების გაზრდის საფუძველზე.

როგორც ზედა განხილვიდან ჩანს იკვეთება ტენდენცია, რომ მომხმარებელთა დამოკიდებულება ადგილობრივი და იმპორტული პროდუქციის მიმართ შეიცვალა. თავად რესპონდენტებსაც დავუსვით ანალოგიური კითხვა და ისინიც ადასტურებენ რომ

პანდემიის პირობებში ნაწილობრივ შეიცვალა მათი დამოკიდებულება ამ პროდუქტების მიმართ. აღნიშნული დამოკიდებულების ცვლილება განპირობებული იყო სხვა რიგი ფაქტორებითაც. კვლევის ფარგლებში გამოვყავით 5 ძირითადი ფაქტორი. ეს ფაქტორებია: ადგილობრივი წარმოების წახალისება, იმპორტული პროდუქტის დეფიციტი, ფასების ცვლილება, პროდუქციაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა, სხვა მიზეზები. ეს ფაქტორები შეფასდა 5 ბალიანი სისტემით(5-ძალიან მნიშვნელოვანი,1-უმნიშვნელო).რესპოდენტთა უმრავლესობამ(81 კაცი) მოთხოვნის შეცვლის ფაქტორად მიიჩნია ადგილობრივი წარმოების წახალისება და შეაფასა 5 ქულით, 3 ქულით 72 მა რესპოდენტმა შეაფასა იმპორტული პროდუქტის დეფიციტი, ფასების ცვლილება 58 რესპოდენტმა 4 ქულით, პროდუქციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვა 70 რესპოდენტმა 3 ქულით, 2 ქულით შეფასდა სხვა მიზეზები. დანარჩენ ქულებს კი თითქმის თანაბარი რაოდენობა უკავიათ. საინტერესო აღმოჩნა აგრეთვე ის თუ რა განაპირობებს არჩევანს ადგილობრივი და იმპორტული პროდუქტის შეძენისას. კვლევაში კითხვას ჰქონდა ქულების მინიჭების ფორმატი. კრიტერიუმები : ფასი, ხარისხი, ბრენდი, შეფუთვა და სხვა შეფასდა 5 ბალიანი სისტემით.1-უმნიშვნელო, 5-ძალიან მნიშვნელოვანი. შედეგებიდან იკვეთება, რომ იმპორტული პროდუქტის შეძენისას ყველაზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ფასს.211 რესპოდენტიდან 95მა ფასს მიანიჭა 4 ქულა. შემდეგ ხარისხს 79მა 4 ქულა. შეფუთვას 80მა-3 ქულა. ბრენდს 75მა 3 ქულა, სხვა ფაქტორს 73მა 3 ქულა .ადგილობრივი პროდუქტის მიმართ მომხმარებელი უფრო კრიტიკული აღმოჩნდა .ისინი ფასსა და ხარისხს თითქმის თანაბარ მნიშვნელობას ანიჭებენ. 4 ქულით შეაფასა ფასი 92მა რესპოდენტმა, 5 ქულით-91 მა, ხარისხი 5 ქულით შეაფასა 92მა, შეფუთვა 3 ქულით 83მა, ბრენდი 3ქულით 81მა და სხვა კრიტერიუმით 3 ქულა 78მა. ამრიგად, ნებისმიერი პროდუქტის შეძენისას ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება ფასსა და ხარისხს. იმის გასარკვევად თუ როგორ შეიცვალა მოსახლეობის მსყიდველუნარიანობა Covid-19 პანდემიის პერიოდში, დავსვით კითხვა თუ რა გავლენა იქონია კრიზისმა მათ შემოსავალზე. გამოკითხულ რესპოდენტთა 49.3% ის შემოსავალზე ნაწილობრივ იქონია გავლება პანდემიის დროს არსებულმა კრიზისმა, 36%ზე იქონია გავლენა ხოლო 14.7ზე არ იქონია. ამრიგად დასტურდება ის ჰიპოთეზა რომ covid-19ის გავლენა საქართველოს მოსახლეობის შემოსავალზე საკმაოდ დიდი იყო. შემცირდა მსყიდველუნარიანობა და

შეიცვალა მოსახლეობის პრიორიტეტები. როგორც გამოიკვეთა საქართველოს საგარეო ვაჭრობაზე covid-19 პანდემიის კრიზისმა შესამჩნევი გავლენა იქონია. რესპოდენტების მიერ დასახელებული ბიზნესები ძირითადად ექსპორტსა და იმპორტზეა დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, თავად რესპოდენტებს ვკითხეთ თუ ზოგადად როგორ აფასებენ საქართველოს საგარეო სავაჭრო პოტენციალს. 10 ბალიანი სისტემით შეფასდა აღნიშული პოტენციალი. ყველაზე მეტი რაოდენობა 76 რესპოდენტი საქართველოს საგარეო სავაჭრო პოტენციალს აფასებს 8 ქულით. 40 რესპოდენტი 7 ქულით, 39 რესპოდენტი 9 ქულით და ა.შ. ქულების საშუალო შეწონილი მივიღეთ 7.4 ქულა, რაც ნიშნავს იმას რომ საქართველოს მოსახლეობა დადებითად არის განწყობილი მის საგარეო სავაჭრო პოტენციალზე. ბოლო კითხვით რესპოდენტებმა ანალოგიური პრინციპით შეაფასეს ქართული პროდუქტის კონკურენტუნარიანობა უცხოურ ბაზარზე. ბევრი ქართული ბიზნესი მათ შორის ყველაზე აქტიურად აგრო ბიზნესი ეწევა საკუთარი საქონლის ასევე ნედლეულის ექსპორტს. აქედან გამომდინარე გვაინტერესებდა თუ როგორ აფასებენ რესპოდენტები ამ პროდუქციის პოტენციალს. პასუხებით მივიღეთ, რომ 10 ქულიდან 6ით აფასებს ქართული პროდუქტის კონკურენტუნარიანობას რესპოდენტთა უმრავლესობა (62 რესპოდენტი).51 რესპოდენტი აფასებს 5 ქულით, 40 რესპოდენტი 7 ქულით, 22 რესპოდენტი 4 ქულით, 14 რესპოდენტი-8 ქულით, 6 რესპოდენტი 3 და 9 ქულით ხოლო 1,2,3 და 10 ქილით 3 რესპოდენტი. ამ მოცემულობით საშუალო შეწონილი მივიღეთ 5,7 ქულა რაც ნახევარზე მეტია და ნიშნავს, რომ მათი შეფასება დადებითია, მაგრამ ნაწილს მაინც ეპარება ეჭვი იმაში რომ ექსპორტის შედეგად უცხოურ ბაზარზე გატანილი ქართული პროდუქტი მარტივად გაუწევს კონკურენციას იმპორტირებულს ან ადგილობრივ წარმოებას. Covid-19 პანდემიით გამოწვეულმა კრიზისმა ბევრ ქვეყანაში მცხოვრები ადამიანების კეთილდღეობასა და მსოფლიო მასშტაბით სახელმწიფოების ეკონომიკას მიაყენა ზიანი, რომელიც არაპროგნოზირებადთან ერთად ჯერჯერობით მზარდია. პანდემიის გავრცელების პრევენციისათვის გატარებულმა სხვადასხვა ზომებმა, მათ შორის საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამ, ქალაქებს შორის მიმოსვლის აკრძალვამ და საზღვრების დროებითმა ჩაკეტვამ საგრძნობი დარტყმა მიაყენა, როგორც მსოფლიო ასევე ეროვნულ ეკონომიკას. საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც ეკონომიკური მიმართულებით საქმიანობენ,

აცხადებენ რომ მსოფლიო ეკონომიკა 2020 წელს 3%-ით შემცირდა, რაც 2008 წლის კრიზისთან შედარებით უფრო უარესი მაჩვენებელია. აღნიშნული კრიზისი საქართველოზეც აისახა. ვარაუდობენ რომ მშპ 2020 წელს 4% ით შემცირდება ხოლო საგადამხდელო ბალანსის 10% კლებაა მოსალოდნელი. რაც წარმოადგენს რადიკალურ შემცირებას წინა წლებთან შედარებით. საქართველო საკუთარი ეკონომიკის მოწყვლადობის გამო მეტად დაზარალებული აღმოჩნდა მოცემულ ვითარებაში. ეს განაპირობა მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურამ, რომელიც ძირითადად ემყარება ისეთ ეკონომიკურ საქმიანობებს რომლებიც Covid-19 პანდემიამ ყველაზე მეტად დააზარალა. საქსტატის მონაცემებით ესენია -საბითუმო და საცალო ვაჭრობა (13.9 %), უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები (11.4 %), მშენებლობის სექტორი (8.3%) და საფინანსო-სადაზღვევო საქმიანობები (6.1%) (geostat.ge, 2018)აგრეთვე საქართველოს ეკონომიკური განვითარება ტურიზმის სექტორზეა დამყარებული. სწორედ აღნიშნულ სფეროზე იმოქმედა ყველაზე მასშტაბურად კორონა ვირუსმა. ზარალი მიადგა ლარის კურსის სტაბილურობას და ასევე შრომის ბაზარს. ლარის კურსის არასტაბილურობა გამოიწვია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირებამ, ფულადი გზავნილების კლებამ და სხვა მიზეზებმა, რაც ლარის კურსის ცვლილებაზე აისახება. კიდევ ერთი მიზეზი რამაც ეკონომიკურ დაღმასვლას შეუწყო ხელი არის ის რომ შრომის ბაზარი შედება, როგორც ფორმალურად ასევე არაფორმალურად დასაქმებულებისა და თვითდასაქმებულებისგან. აქედან გამომდინარე უმუშევრობის ზრდა გარდაუვალია, რადგან სამსახურის დაკარგვა დასაქმებულების 30% ემუქრება ხოლო თვითდასაქმებულებს შორის 85% შემოსავლის გარეშე დარჩება და თავად მოუწევს ამ პრობლემასთან გამკლავება.

კრიზისმა ეკონომიკური ვარდნის გარდა შეცვალა პოლიტიკური სიტუაცია. ამ ვითარებაში ძალაუფლება მთლიანად სახელმწიფოებსა და აღმასრულებელ მთავრობაზე გადაანაწილა.ამ გარემოებებიდან გამომდინარე და კვლევის საფუძველზე შეგვიძლია გავამყაროთ ის ჰიპოთეზა, რომ საგარეო ვაჭრობის ტენდენციებზე,მოსახლეობის შემოსავლებსა და ბიზნეს სექტორზე Covid-19 კრიზისი საგრძნობი იყო და მრავალი დაბრკოლება შეუქმნა ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას.

დასკვნა

საერთაშორისო ვაჭრობა დიდ გავლენას ახდენს ზოგად საერთაშორისო პოლიტიკასა და კავშირებზე, რადგან ის ხელს უწყობს მჭიდრო ურთიერთობების წარმოქმნას სახელმწიფოებს შორის, თანამედროვე ეპოქაში ქვეყნებს შორის ურთიერთდამოკიდებულება მნიშვნელოვანს ხდის საერთაშორისო ვაჭრობას. დღეისათვის ყველა სახელმწიფო აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო ვაჭრობაში, რადგან ისინი ვერ შეძლებენ იყოს თვითკმარი და მარტო საკუთარი წარმოებით უზრუნველყოს საკუთარი თავი.შრომის საერთაშორისო დანაწილება წარმოადგენს პროდუქციის იმპორტირების საფუძველს, ხოლო საიმპორტო ხარჯები იფარება ექსპორტის შედეგად მიღებული შემოსავლებით. ხშირ შემთხვევაში კამათის საფუძველს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მხოლოდ ექსპორტით არის შესაძლებელი ეკონომიკური ზრდა, მაგრამ საგულისხმოა დივერსიფიკაციის ხარისხი მოცემულ ექსპორტში.განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა მათი საექსპორტო შესაძლებლობების მსოფლიო ბაზარზე მაქსიმალური რეალიზაციაა. სწორედ ეს აძლევს ამ ქვეყნებს ეკონომიკური ზრდისა და, შესაბამისად სიღარიბის ეფექტიანად დაძლევის ახალ შესაძლებლობებს. საქართველოს განვითარების დღევანდელ ეტაპზე ქართველი მწარმოებლებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს სტრატეგიული თვალსაზრისით ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ბაზართან - ევროკავშირთან ვაჭრობის ზოგადი და კონკრეტული საკითხების შესახებ ინფორმაციის გამარტივებული სახით მიწოდებას. ეს საკითხი განსაკუთრებით საგულისხმოა მას შემდეგ, რაც აქტიურად მიმდინარეობს ევროკავშირთან თანამშრომლობა აღმოსავლეთის პარტნიორობის ფარგლებში. საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ქვეყნის ინტეგრაცია ევროპულ სავაჭრო ურთიერთობებში დადებით ზეგავლენას ახდენს ადგილობრივ ბაზარზე, ხელს უწყობს მეტი კონკურენტუნარიანი კომპანიის წარმოქმნასა და განვითარებას, პოზიტიურად აისახება მომხმარებლის ჯანმრთელობისა და უფლებების დაცვაზე, შემოსავლების დონესა და ცხოვრების ხარისხზე. ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, საქართველო

გარდამავალ ეტაპზე იმყოფება. ქვეყნის მიზანია ევროპის ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაცია, რაც მიიღწევა ეკონომიკური გარემოს ჰარმონიზაციით ევროკავშირის ძირითად მოთხოვნებთან. ამ თვალსაზრისით, ქვეყნის წინაშე მდგარი პრიორიტეტული ამოცანების რიცხვში უმთავრესია ღია ეკონომიკური პოლიტიკისა და მიმზიდველი ბიზნეს-გარემოს შექმნა. საქართველოსთვის ასეთი ინსტიტუციური ცვლილებები ორიენტირებული უნდა იყოს ევროპის ეკონომიკურ სივრცესთან ჰარმონიზაციაზე. ცხადია ისიც, რომ ყველა წარმატებული კონვერგენცია არა უბრალოდ საბაზრო ეკონომიკის, არამედ თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში ხდება. ამდენად, მნიშვნელოვანია იმ რეალობის გათვალისწინება, რომელიც ინსტიტუციური რეფორმების დარგში ტრანსფორმაციის ეტაპზე მიმდინარეობს ქვეყანაში, რაც უნდა გახდეს საქართველოს სწრაფი ეკონომიკური განვითარების საფუძველი. Covid-19 პანდემიის კრიზისის აღმოსაფხვრელად, ასევე, სწრაფი ეკონომიკური ზრდისათვის, ქვეყანას სჭირდება დამატებითი ღირებულებების შექმნის დოქტრინა, რაც მიიღწევა მაღალტექნოლოგიური ინვესტიციების გაზრდის შედეგად, ანუ სახელმწიფოს ეკონომიკამ უნდა შექმნას დამატებითი ღირებულება, არა მხოლოდ ადგილობრივ წარმოებულ საფუძველზე, არამედ ინფრასტრუქტურისა და ინოვაციური ცენტრების განვითარებით, რაც სტიმულს მისცემს ქვეყნის ეკონომიკის ზრდას ასევე, გაზრდის სამუშაო ადგილებსა და ექსპორტის მოცულობას.ხშირ შემთხვევაში ბაზრის ზომა წარმოადგენს ინვესტიციების მოზიდვის საფუძველს, სწორედ თანამედროვე ვაჭრობა განიხილავს ალტერნატივად გლობალურ ბაზრებზე ინტეგრაციასა და საქონლის დასაწყობებას, ასევე, ნაკლები დანახარჯებით მათ გადაზიდვას. სარკინიგზო, საზღვაო და საჰაერო კავშირების მოდერნიზაცია წარმოადგენს მაქსიმალური ეფექტის მომტანს ქვეყნის ეკონომიკისათვის. საქართველო თავისი მდებარეობის გამო, როგორც ისტორიულად ასევე გეოპოლიტიკურად, შესაძლებელს ხდის აქტიურად ჩაერთოს სხვადასხვა გლობალურ ინტეგრაციულ პროცესში და მოახდინოს ეკონომიკის წინსვლა, ამისათვის მნიშვნელოვანია საექსპორტო პოლიტიკა იყოს ეფექტიანი და ამის ხარჯზე მოხდეს საქონლის ექსპორტის გაზრდა. სახელმწიფოს მთავარ ამოცანას წარმოადგენს ექსპორტის მაქსიმალური სტიმულირება.

ბიბლიოგრაფია

1. არველაძე ლ. საქართველოს ექსპორტის პრობლემები და ექსპორტის წამახალისებელი პროგრამები. თბილისი, 2016 წ. https://idfi.ge/ge/problems-of-georgia-export.

2. ბერიშვილი ხ. ,,საერთაშორისო ბიზნესის მართვა''. თბ, გამომც.,,უნივერსალი'', 2018. 217გვ

3.ბერიშვილი ხ. ,,საერთაშორისო ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა. თბ, გამომც.,,უნივერსალი'', 2018.

4. ლინდერტი, პ. (2001). *საერთაშორისო ეკონომიკა.*

5.ჟვანია ნ.(2006). *„საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომია".* თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.

6.სილაგაძე ა. (2001). *ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

7. ღაღანიძე გ. საქართველოს საექსპორტო პოტენციალის მენეჯმენტის აქტუალური საკითხები-. თბილისი, 2017 წ.

8. შენგელია თ. (2017). *საერთაშორისო ბიზნესი.* თბილისი: „უნივერსალი".

9. შენგელია, თ. (2018). *გლობალური ბიზნესი.* თბილისი.

10.ძებისაშვილი ლ.(2012). *საქართველოს საგარეო-სავაჭრო ურთიერთობების სტატისტიკური შესწავლა.* თბილისი.

11. *2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია.*

12. economy.ge. (2018). საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საგარეო ვაჭრობა;

13. geostat.ge. (2018). საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

14. geostat.ge. (2020). საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

15. http://infocenter.gov.ge. (2018). საქართველო და ევროკავშირი, თავისუფალი ვაჭრობა;

16.http://mfa.gov.ge/. (2019). საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, ორმხრივი ურთიერთობები;

17. http://www.ghn.ge/. (2019). საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება;

18. http://www.nplg.gov.ge/. (2019). ვიშეგრადის ჯგუფი, ენციკლოპედიური ლექსიკონი.

19. https://ka.wikipedia.org. (2020). საერთაშორისო ვაჭრობა.

20. Shengelia T , .Kozak, Y. , Berishvili kh ,,International Trade''. Tbilisi, Publishing House „Universal" ,. 2016, 258 p.

21. Krugman, P. (2009). *International Economics: Theory & Policy.* Pearson, Addison Wesley; 8th edition.

22. McCulloch, B. (2008). *International Business, The Chelenge of Global competition.* Minor,McNett,11-th ed.

23. Abbel, L. (1953). *Essays in Economic Analysis.*

24. Charles W.L.Hill. (2007). *International Business, Competing in the Global Marketplace, Charles W.L.Hill, 6-the ed.* 6-the ed.

25. Baldwin, R. (1952), "The New Welfare Economics and Gains in International Trade", Quarterly Journal of Economics, 91-101.

26. Bhagwati, Jagdish (1964), "The Pure Theory of International Trade", Economic Journal, 74, 1-78.

27. Chacholiades, Miltiades (1978), The Pure Theory of International Trade, Aldine Pub. Co., Chicago.

28. Deardorff, A. V. (1982), "The General Validity of the Heckscher-Ohlin Theorem", American Economic Review, 72(4) 683-694.

29. Eaton, Jonathan and Gene Grossman (1986), "Optimal Trade and Industrial Policy under Oligopoly", Quarterly Journal of Economics, 101(2) 383-406.

30. Hillman, A. (1989), The Political Economy of Protection, Harwood Academic Publishers, New York.b

31. Irwin, Douglas A. (1996), Against the Tide: An Intellectual History of Free Trade, Princeton University Press, Princeton, NJ.

32. Kemp, Murray C. (1962), "The Gain from International Trade", Economic Journal, 72, 803-819.

33. Krugman, Paul R. (1979), "Increasing Returns, Monopolistic Competition, and International Trade", Journal of International Economics, 9(4) 469-479.

34. Mundell, Robert A. (1960), "The Pure Theory of International Trade", American Economic Review, 301-322.

35. Pearce, Ivor F. (1970), International Trade, Norton, New York.

36. Samuelson, Paul A. (1939), "The Gains From Trade", Canadian Journal of Economics

37. Woodland, A.D. (1982), International Trade and Resource Allocation, North-Holland, New York.

38. Herzer, D. and F. Nowak-Lehmann (2006), “What does export diversification do for

growth? An econometric analysis”, Applied Economics 38(15): 1825-1838.

39. Ethier, W. (1974), "Some of the Theorems of International Trade With Many Goods and Factors", Journal of International Economics, 4(2) 199-206.

40. Ethier, Wilfried (1979), "Internationally Decreasing Costs and World Trade", Journal of International Economics, 9(1) 1-2

41.Graham, Frank (1923), "Some Aspects of Protection Further Considered," ....

42. Grandmont, J.M. and D. McFadden (1972), "A Technical Note on Classical Gains From Trade", Journal of International Economics, 2(2) 109-125.

დანართი N1

		ექსპორტი		იმპორტი	
		ათასი აშშ დოლარი	ცვლილება (%)	ათასი აშშ დოლარი	ცვლილება (%)
2018	იანვარი	222 649.9	25.9	594 574.0	20.1
	თებერვალი	223 657.0	24.3	638 951.0	8.4
	მარტი	285 811.5	29.2	851 801.8	37.9
	აპრილი	229 176.7	8.3	734 348.5	23.6
	მაისი	323 793.9	50.4	809 023.6	26.9
	ივნისი	307 811.0	30.6	779 222.0	21.0
	ივლისი	278 175.9	30.8	797 002.0	24.1
	აგვისტო	275 376.0	16.5	772 797.5	9.8
	სექტემბერი	301 179.5	16.9	719 718.8	4.6
	ოქტომბერი	302 920.2	15.0	866 185.7	18.5
	ნოემბერი	276 196.5	16.6	751 094.5	-1.3
	დეკემბერი	328 964.1	14.1	821 740.8	-2.0
2019*	იანვარი	238 766.2	7.2	620 607.0	4.4
	თებერვალი	264 972.7	18.5	670 866.5	5.0
	მარტი	323 356.9	13.1	786 549.3	-7.7
	აპრილი	309 599.7	35.1	744 759.3	1.4
	მაისი	337 466.9	4.2	757 433.4	-6.4
	ივნისი	307 249.4	-0.2	696 348.4	-10.6
	ივლისი	320 771.5	15.3	770 000.2	-3.4
	აგვისტო	312 094.0	13.3	754 209.6	-2.4
	სექტემბერი	302 616.2	0.5	757 562.6	5.3
	ოქტომბერი	316 257.5	4.4	859 176.5	-0.8

	სექტემბერი	345 928.7	25.2	792 612.5	5.5
	დეკემბერი	390 349.4	18.7	941 085.6	14.5
2020*	იანვარი	262 649.4	10.0	643 793.5	3.7
	თებერვალი	263 616.8	-0.5	702 220.0	4.7
	მარტი	251 896.4	-22.1	666 227.9	-15.3
	აპრილი	223 160.6	-27.9	460 562.8	-38.2
	მაისი	234 366.2	-30.6	497 273.1	-34.3

კითხვარი

მოსახლეობის დამოკიდებულების კვლევა საქართველოს საგარეო ვაჭრობის პოტენციალზე მიმდინარე Covid-19 პანდემიის პირობებში.

A1.რესპოდენტის სქესი:

მამრობითი	1
მდედრობითი	2

A2. რესპოდენტის ასაკი:

15-20 წელი	1
21-30 წელი	2
31-40 წელი	3
41-50 წელი	4
51-60 წელი	5
საპენსიო ასაკის	6

A3. ოჯახური მდგომარეობა

დაოჯახებული	1
დასაოჯახებელი	2
განქორწინებული	3
ქვრივი	4

A 4. დასაქმების სტატუსი

დასაქმებული	1
თვითდასაქმებული	2
პენსიონერი	3
უმუშევარი	4
დიასახლისი	5
სტუდენტი	6

A5. როგორია თქვენი საშუალო თვიური შემოსავალი?

0-500 ლარი	1
501-1000 ლარი	2
1001-2000 ლარი	3
2001-4000 ლარი	4
4001 ლარი და მეტი	5

A6. გაქვთ თუ არა საკუთარი ბიზნესი ან თქვენს გარემოცვაში ეწევიან თუ არა ბიზნეს საქმიანობას?

კი	1
არა	2
ჩემს გარემოცვაში ეწევიან ბიზნეს საქმიანობას	3
არ მაქვს, მაგრამ ვგეგმავ	4

A7. რამდენად არის აღნიშნული ბიზნესი საგარეო ვაჭრობაზე დამოკიდებული?

არაა დამოკიდებული	1
მთლიანად დამოკიდებულია	2

A8. მითითებული ბიზნესი ახორციელებს

მზა პროდუქციის ექსპორტს	1
მზა პროდუქციის იმპორტს	2
ნედლეულის ექსპორტს	3
ნედლეულის იმპორტს	4
არც ერთს	5

A9. რა გავლენა იქონია Covid-19 პანდემიის შედეგად საგარეო ვაჭრობის შეზღუდვებმა აღნიშნულ ბიზნესზე?

არ იქონია გავლენა	1
ნაწილობრივ იქონია	2
იქონია გავლენა	3

A10. რომელ პროდუქციას ანიჭებთ უპირატესობას?

იმპორტულ	1
ადგილობრივ წარმოებას	2
არ ვანიჭებ მნიშვნელობას	3
ორივეს თანაბრად	4

A11. თქვენი შემოსავლის რა წილი იხარჯება პირველადი მოხმარების იმპორტულ პროდუქტზე?

0-25%	1
25-50%	2
50-75%	3
75-100%	4

A12. თქვენი შემოსავლის რა ნაწილს ხარჯავთ იმპორტული ტანსაცმლის შეძენაზე?

0-25%	1
25-50%	2
50-75%	3
75-100%	4

A13. თქვენი შემოსავლის რა ნაწილს ხარჯავთ იმპორტულ ხანგრძლივი მოხმარების საგნებზე?

0-25%	1
25-50%	2
50-75%	3
75-100%	4

A14. თქვენი შემოსავლის რა ნაწილს ხარჯავთ ადგილობრივი წარმოების პირველადი მოხმარების საგნებზე?

0-25%	1
25-50%	2
50-75%	3
75-100%	4

A.15 თქვენი შემოსავლის რა ნაწილს ხარჯავთ ადგილობრივი წარმოების ტანსაცმლის შეძენაზე?

0-25%	1
25-50%	2
50-75%	3
75-100%	4

A16. თქვენი შემოსავლის რა ნაწილს ხარჯავთ ადგილობრივი წარმოების ხანგრძლივი მოხმარების საგნებზე?

0-25%	1
25-50%	2
50-75%	3
75-100%	4

A17. იმპორტული საქონლის შეძენისას რა განაპირობებს თქვენს არჩევანს?(შეაფასეთ 5 ბალიანი სისტემით. ძალიან მნიშვნელოვანი-5, უმნიშვნელო-1)

ფასი	1
ხარისხი	2
ბრენდი	3
შეფუთვა	4
სხვა	5

A18. ადგილობრივი საქონლის შეძენისას რა განაპირობებს თქვენს არჩევანს?(შეაფასეთ 5 ბალიანი სისტემით. ძალიან მნიშვნელოვანი-5, უმნიშვნელო-1)

ფასი	1
ხარისხი	2
ბრენდი	3
შეფუთვა	4
სხვა	5

A19. შეიცვალა თუ არა თქვენი დამოკიდებულება ადგილობრივი და იმპორტირებული პროდუქტის მიმართ Covid-19 პანდემიის პირობებში?

კი	1
არა	2
ნაწილობრივ	3

A20. კონკრეტულად თქვენს შემოსავლებზე იმოქმედა თუ არა გავლენა მიმდინარე COVID19-ის პანდემიით წარმოქმნილმა კრიზისმა ?

კი	1
არა	2
ნაწილობრივ	3

A21. თქვენი შემოსავლის რა წილი იხარჯება პირველადი მოხმარების იმპორტულ პროდუქტზე Covid-19 პანდემიის პირობებში?

0-25%	1
25-50%	2
50-75%	3
75-100%	4

A22. თქვენი შემოსავლის რა ნაწილს ხარჯავთ იმპორტული ტანსაცმლის შეძენაზე Covid-19 პანდემიის პირობებში?

0-25%	1
25-50%	2
50-75%	3
75-100%	4

A23. თქვენი შემოსავლის რა ნაწილს ხარჯავთ იმპორტული ხანგრძლივი მოხმარების საგნებზე Covid-19 პანდემიის პირობებში?

0-25%	1
25-50%	2
50-75%	3
75-100%	4

A24. თქვენი შემოსავლის რა ნაწილს ხარჯავთ ადგლობრივი წარმოების პირველადი მოხმარების საგნებზე Covid-19 პანდემიის პირობებში?

0-25%	1
25-50%	2
50-75%	3
75-100%	4

A25. თქვენი შემოსავლის რა ნაწილს ხარჯავთ ადგლობრივი წარმოების ტანსაცმლის შეძენაზე Covid-19 პანდემიის პირობებში?

0-25%	1
25-50%	2
50-75%	3
75-100%	4

A26. თქვენი შემოსავლის რა ნაწილს ხარჯავთ ადგლობრივი წარმოების ხანგრძლივი მოხმარების საგნებზე Covid-19 პანდემიის პირობებში?

0-25%	1
25-50%	2
50-75%	3
75-100%	4

A27. რამ განაპირობა თქვენი არჩევანის ცვლილება Covid-19 პანდემიის პირობებში?(შეაფასეთ 5 ბალიანი სისტემით. ძალიან მნიშვნელოვანი-5, უმნიშვნელო-1)

ადგილობრივი წარმოების წახალისებამ	1
იმპორტული პროდუქტის დეფიციტმა	2
ფასების ცვლილებამ	3
პროდუქციაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვამ	4
სხვა მიზეზებმა	5

A28. თქვენი კომპეტენციის ფარგლებში შეაფასეთ საქართველოს საექსპორტო პროდუქციის პოტენციალი 10 ბალიანი სისტემით

დაბალი	1
მაღალი	2

A29. როგორ შეაფასებდით ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობას უცხოურ ბაზარზე?

დაბალი	1

მაღალი	2

Ivane Javakhishvili Tbilisi State University faculty of economics and business

Ana Giorgadze

Current state of Georgia's foreign trade and its future development perspectives

Master's program in Business Administration

Thesis is for obtaining a Master’s degree in Business Administration

Associate Professor Khatuna Berishvili